ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2017 წელი, 28 აგვისტო, №14 (6451)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ზურაბ იაკობიშვილი – პოლონეთის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია

2017 წლის 7-9 ივლისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

ეს ტურნირი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ მასში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები, რომლებიც აგვისტოს შუა რიცხვებში იასპარეზებენ საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მსოფლიო ჩემპიონატში.

ჩვენი ქვეყნის ღირსებას ამ ტურნირზე იცავდა საქართველოს და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, რიოს ოლიმპიადის მონაწილე, საქართველოს ნაკრების №1 მოჭიდავე, (თავის წონაში 65 კგ.) ჩვენი თანამემამულე ზურაბ იაკობიშვილი.

მას წონა რომ არ დაეკლო, (საერთოდ იგი გამოდის 65 კგ. წონით კატეგორიაში) ნაკრების მწვრთნელებმა ნება დართეს გამოსულიყო უფრო მაღალ 70 კგ. წონით კატეგორიაში.

მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს მნიშვნელოვანი გამოცდა წარმატებით ჩააბარა, დაამარცხა ყაზახეთის ორი წარმომადგენელი, ასევე გერმანელი, თურქი და რუსეთის ნაკრების №1 მოჭიდავეები. ზურაბ იაკობიშვილმა ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფინალური შეხვედრა, სადაც მან იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვა რუსეთის ნაკრების 1 სპორტსმენს კადიმ მაგამედოვს და ღირსეულად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონის ტიტული. მან კი უღირსი საქციელი ჩაიდინა, – ისე დატოვა ხალიჩა, გამარჯვებულს ხელიც კი არ ჩამოართვა. ამ გამარჯვების შემდეგ მსოფლიოს თავისუფალი ჭიდაობის სპეციალისტებმა მსოფლიო რეიტინგში ზურაბი მეორე ნომრად დააყენეს.

როგორც აღვნიშნეთ, ზურაბი აგვისტოს შუა რიცხვებში საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ნაკრებთან ერთად მიემგზავრება საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. ვუსურვოთ ზურაბს, მთელ საქართველოს, მის მწვრთნელებს გივი მეტრეველს, მალხაზ როზომაშვილს, ვანო ჭანტურიძეს, რომ ზურაბი პარიზიდან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულით დაბრუნებულიყოს.

და ბოლოს, სასპორტო სკოლის სახელით მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ილია მზექალაშვილს იმ თანადგომისათვის, რომელსაც ის იჩენს ჩვენი სკოლის სპორტსმენებისადმი.

ბატონი ილია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სპორტსმენებმა რაც შეიძლება მეტ შეჯიბრებებში მიიღონ მონაწილეობა, რათა ხელი შეუწყოს მათ შემდგომ წინსვლას და დაოსტატებას – აღნიშნა ჩვენთან საუბარში მწვრთნელმა ბატონმა გივი მეტრეველმა.

დალი ტატულიშვილი

მარიამობა: მართლმადიდებლური სამყაროს დღესასწაული

მართლმადიდებელი სამყარო 28 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში სადღესასწაულო წირვა-ლოცვა სრულდება.

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმიდა სამების შემდეგ ღვთისმშობელი მარიამი იდიდება. უდიდეს თორმეტ დღესასწაულთაგან სამი – ღვთისმშობლის შობა, მიძინება და ყოვლადწმიდა მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

მარიამობის დღესასწაულს წინ ორკვირიანი მარხვა უძღოდა, რომელიც 14 აგვისტოს დაიწყო და 28 აგვისტოს დასრულდება. ეკლესიის ისტორიაში ამ მარხვის დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია. უცნობია, ასევე, როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული.

საეკლესიო სწავლებით, ღვთისმშობელს მისი მიძინების დღე უფალმა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ახარა, რომელიც მას ზეთისხილის მთაზე ლოცვისას გამოეცხადა. მთავარანგელოზმა დედაღვთისას ამცნო, რომ სამი დღის შემდეგ მიიძინებდა. ამის დასამოწმებლად კი სამოთხეში დარგული ფინიკის ხის ტოტი გადასცა, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა. იგი მის საფლავთან უნდა მიეტანათ.

ღვთისმშობლის სურვილისამებრ, უფალმა საქადაგებლად წასული წმინდა მოციქულები მიძინების დღეს ღვთისმშობელთან გამოსამშვიდობებლად შეკრიბა. უფალმა ასევე ისმინა ღვთისმშობლის თხოვნა, რომ არ ეხილა ჯოჯოხეთის საშინელებები და ღვთისმშობლის სული ცათა საუსუფეველში თავად უფლის ხელით ავიდა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მოციქულებმა გეთსიმანიის ქვაბულში დაკრძალეს. ამ პროცესს თომა მოციქული არ ესწრებოდა. მესამე დღეს მოციქულებმა მისთვის ქვაბულის ლოდი გადააგორეს და აღმოაჩინეს, რომ ღვთისმშობელი უფალმა მკვდრეთით აღადგინა და ხორცით ზეცაში აღამაღლა. ამიტომ ეკლესია ღვთისმშობლის აღსასრულს მიძინებას უწოდებს.

მობრძანდით, – დაისვენეთ, გაერთეთ და გაიკაჟეთ სხეული

ზაფხული ძალაში შევიდა, ყველა ცდილობს თავი დააღწიოს სიცხეს და თავი შეაფაროს ჩრდილიან ადგილებს. ჩვენს ქალაქში კი ასეთი უამრავია, გნებავთ დურუჯი, ნახეჩის ხევი, ილიას ტბა და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, სადაც ადამიანებს შეუძლიათ დაისვენონ. მაგრამ წყალში ბანაობა და იქ დასვენება მაინც სხვაა. საღამოობით ილიას ტბაზე უამრავი ადამიანი იყრის თავს, პატარებსაც და დიდებსაც შეუძლიათ აქ მთელი დღე გაატარონ, თუ როგორ, ამასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ა(ა) იპ ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრის დირექტორს, ბატონ მალხაზ ხაბარაშვილს.

– ბატონო მალხაზ, ზაფხულის სეზონი დიდი ხანია დაიწყო, თქვენს ტბაზე – ადგილობრივი მაცხოვრებლები და ტურისტული ნაკადი მოედინება. როგორი სეზონი გაქვთ, რამდენად მომზადებული შეხვდით ზაფხულის დამსვენებლებს?

– მოგეხსენებათ, წელს წვიმიანი ამინდების გამო სეზონი გვიან დაიწყო. ჩვენ მზადება სეზონისთვის დავიწყეთ ზამთრიდანვე. გავასუფთავეთ ტბის გარშემო მთლიანი ტერიტორია. ხმელი ხის ტოტები შეიჭრა და გასუფთავდა ეკალ-ბარდისაგან. ადრე გაზაფხულზე ვიზრუნეთ ტბის შევსებაზე, რათა წყალი დალექილიყო. მთლიანად დავასუფთავეთ ტერიტორია მდინარე დურუჯის მიერ შემოტანილი ნარჩენებისაგან. ბულვარის ტერიტორიაზე დაიბარა ნიადაგი, შეიკრიჭა გაზონები, შეიღება ინფრასტუქტურა და ა. შ.

– იყო წლები, როცა ზაფხული ისე არ ჩაივლიდა, რამდენიმე კაცი არ შეეწირა ამ ტბას. წელსაც მოხდა ასეთი უბედურება. რამდენად არიან ხოლმე მზად თქვენი სამაშველო ბრიგადები, რომ ასეთი რამ არ მოხდეს? სად შეიძლება ვეძებოთ ამ უბედურების მიზეზი?

– გეთანხმებით, ბოლო 6 წლის განმავლობაში, რაც ფუნქციონირებს „ილიას ტბა“, მოხდა ორი უბედური შემთხვევა, რაც გამოიწვია ინსტრუქციის წესების უხეშმა დარღვევამ.სანაპიროზე, ყველგან, მისასვლელებთან დგას ტრაფარეტები, რომლებიც აფრთხილებს დამსვენებლებს, რომ არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება სანაპიროზე. ტბას ემსახურება სამაშველო სამსახური შესაბამისი აღჭურვილობით, დილიდან გვიან საღამომდე. მაშველები აფრთხილებენ დამსვენებლებს, რომ არ შეიძლება ნასვამ მდგომარეობაში ტბაში შესვლა და აკრძალულ ადგილებში ბანაობა. ამიტომ მოსახლეობას ვთხოვთ დაიცვან ინსტრუქციაში მითითებული წესები.

– ტურისტებზე რას გვეტყოდი, რამდენად მასიურია მათი შემოსვლის ნაკადი და როგორ ხვდებით მათ. რა სიურპრიზები გაქვთ მათთვის?

– როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტურისტების რიცხვმა იმატა. წელს გაიხსნა რამოდენიმე კაფე და სანაყინე. მოქმედებს გასახდელები და საშხაპეები, რაც აუცილებლად კომფორტს უქმნის დამსვენებლებს. რაც შეეხება მომსვლელებს, წინა წლებთან შედარებით მათმა რიცხვმა მოიმატა დახლოებით 20-25 პროცენტით. ტურისტების ნაკადი ძირითადად შემოდის რუსეთიდან, სხვა პოსტსაბჭოთა და არაბეთის ქვეყნებიდან, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპიდან და აზერბაიჯანიდან.

– ერთის მხრივ მართლაც კარგი საქმე გაკეთდა, რომ ბავშვებისთვის განკუთვნილი საბანაო აუზი ცალკეა და დაზღვეულები ვართ, რომ პატარებს არაფერი საფრთხე არ შეექმნებათ ამ მხრივ, რამეთუ ერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტბა დაბინძურებული იყო გადამდები ვირუსით – სოკოთი. რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს და რამდენად სარწმუნო ინფორმაცია იყო ეს და ახლა რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

– მოგეხსენებათ, ტბაზე მოქმედებს საბავშვო აუზი, რომელიც ყოველ მეორე დღეს იცლება, სუფთავდება და ივსება ახალი წყლით. სამწუხაროდ, ხშირად გვიწევს ზრდასრული მოსახლეობისთვის იმის ხსენება, რომ აუზი განკუთვნილია ბავშვებისთვის და არა დიდებისთვის. რაც შეეხება ჭორს, თითქოს ტბა დაბინძურებულია, გეტყვით, რომ ტბა არის გამდინარე. გარდა ამისა, ყოველ გაზაფხულზე ჩამოდიან ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები (ლაბორატორია), რომელიც გვაძლევს დასკვნას, რომ ტბა სავსებით შეესაბამება ყველა სტანდარტს.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

როგორ აღინიშნებოდა მარიამობის დღესასწაული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მრავალი დღესასწაულია მიძღვნილი. მათ შორის ხალხში 15/28 აგვისტო, ღვთისმშობლის მიძინება, მარიამობა გამოირჩევა. ეს ის დღეა, როდესაც წმინდა მარიამი იერუსალიმში გარდაიცვალა და თავად იესო ქრისტემ მიიღო მისი სული. ცოტა ხანში უფალმა იგი ხორციელადაც გაიყვანა ამ ქვეყნიდან.

როგორ აღინიშნებოდა მარიამობის დღე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში?

ნინო ღამბაშიძე (ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი):

– „მარიამობის დღესასწაულს წინ ორკვირიანი მარიამობის მარხვა უძღვის. მარხვა მძიმეა. დიდმარხვის მარიამობა მთელ საქართველოში დიდი უქმე იყო.

რაჭაშიც მარიამობა დიდი უქმე იყო. დილით ადრე ყველიან ან ქონიან განატეხს აცხობდნენ და სანთელს ცეცხლში აკმევდნენ. დიასახლისი, რომელსაც ხელში განატეხი და ღვინის ზედაშე ეჭირა, ილოცებდა და მარიამობის ძალასა და მადლს, მშვიდობას და მომავალი მარიამობისთვის კარგად ყოფნას შესთხოვდა. განატეხს ოჯახის ყველა წევრი შეჭამდა. სადილისთვის საკურთხის, მიცვალებულის მოსახსენებელ სუფრას გაამზადებდნენ. საამისოდ 7 ყველიან ან ქონიან სულის პურს გამოაცხობდნენ, მოხარშავდნენ შაშხს, ქათამს, სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო 1-2 კვერცხი, ლავაში და ერთი სანთელი. თუ ოჯახს ახალი მიცვალებული ჰყავდა, უნდა დაეკლათ ცხვარი, მეტი პურიც გამოეცხოთ და სუფრა მღვდელს უნდა ეკურთხებინა.

ლეჩხუმში როგორი ღარიბიც უნდა ყოფილიყო ოჯახი, რაიმეთი მაინც გაიხსენებდა. დიასახლისი დილით ადრიანად ეზოს ხვეტავდა, 3 სულის პურს აცხობდა, კლავდა ქათამს ან შაშხს ხარშავდა, ლავაშებს აცხობდა, ჩამოქნიდა სანთლებს, რათა მიცვალებულებისთვის სუფრა წაედგა ანუ გაეშალა, რაც ამ დღისთვის აუცილებელი იყო. გაშლილ სუფრაზე დგამდნენ ღვინით სავსე ჭიქებს და დებდნენ ყველაფერ იმას, რაც ახალი შემოსული იყო. დიასახლისი ილოცებდა და „მარიამობის გამჩენ ძალას“ მიცვალებულების ცხონებას და მისი შთამომავლობის კარგად ყოფნას შესთხოვდა. ეს დღე განსაკუთრებით სოფელ ღესინდის დღეობა იყო და აქ დიდძალი საქონელი იკვლებოდა. ერთხელ 20 ხარიც კი დაკლულა. ხარებს წვრილ საქონელსაც მიუმატებდნენ. სოფელში ამ დღესაც დიდი სტუმრიანობა სცოდნიათ. მოკეთეებს მაშინ ეპატიჟებოდნენ, თუ მათი სოფლის სალოცავს დღესასწაული არ ჰქონდა. იშლებოდა დიდი სუფრები, რომლებიც სამი დღე არ ლაგდებოდა. ხალხი ერთმანეთთან გადადიოდა სტუმრად, მხოლოდ ღამეს აუცილებლად მთავარი მასპინძლის ოჯახში ათევდნენ.

მარიამობისთვის შეთქმულ საკლავს სალოცავში მიიყვანდნენ, მიიტანდნენ ჩამოქნილ სანთელს, ფუულს და მღვდელი საჯაროდ აცხადებდა, ვინ რა მიიყვანა თუ მიიტანა.

მარიობას ანუ მარიამობას სამეგრელოში მარაშონას/მარაშინას ეძახდნენ. ეს დღე მიცვალებულთა მოხსენიების დღეც იყო და ახალი მიცვალებულის პატრონი ამ დღემდე ახალ ხილს ეზოშიც კი არ მოწყვეტდა. წინა საღამოს თხემლის ტოტებით დაჯვარვა იცოდნენ, ანუ თხემლის ტოტები მიჰქონდათ ყანაში და სხვაგან. ამ დღეს სამეგრელოში ის წესები სრულდებოდა, რაც დანარჩენ საქართველოში ჭიაკოკონობის დროს. თუ მარიამობა მარხვის დღეს დაემთხვეოდა, სტუმრებს თევზით უმასპინძლდებოდნენ და მეორე სახსნილო დღეს ლხინს ხორცით აგრძელებდნენ. აღდგომიდან მოყოლებული ყოველ კვირას და უქმე დღეებში ხალხი მინდვრად გადიოდა მოსალხენად, რასაც ჯარობა ეწოდებოდა. მარიამობის ჯარობა იმ წელს ბოლო ჯარობა იყო.

გურიაში ამ დღეს თაგვმარიობას, ყვავმარიობას, ჩიტმარიობასაც უწოდებდნენ.

კახეთში მარიამობას საყოველთაოდ ცნობილი აწყურის წმ. გიორგის დღესასწაული იმართებოდა. მლოცველი თეთრი გიორგის ეკლესიაში წინა დღეს, ზოგიც უფრო ადრე მიდიოდა. მლოცველები აქ მთელი კახეთიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან, ერწო-თიანეთიდან იყრიდნენ თავს. აქ დღესაც ბევრი ხალხი მიდის.

მლოცველები თავდაპირველად ეკლესიას მარჯვნიდან მარცხნივ სამჯერ ან შვიდჯერ შემოუვლიდნენ. წინ მიდიოდნენ ქალები. მათ მამაკაცთა გუნდი მიჰყვებოდა. ორივე გუნდი რიგ-რიგობით გალობდა „დიდებას“: „დიდება და ღმერთსა დიდება, წმიდა გიორგი ცხოველო, შენს სალოცავად მოველო“.

საღამოს, როდესაც ზარს დარეკავდნენ, ხალხი ეკლესიასთან იყრიდა თავს. აქ, ამ სალოცავში, როგორც სხვაგან, თავს იყრიდნენ მონა ქალები. მიაჩნდათ, რომ ამ მონა ქალებს ხატი ირჩევდა და ისინი ხალხს ღმერთის, წმინდანების, სალოცავების ნებას გადასცემდნენ, თან ხალხის ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას შესთხოვდნენ. მონა ქალებს თეთრი თავსაფარი ჰქონდათ თავზე წაკრული, თეთრები ეცვათ, ფეხშიშვლები იყვნენ, ზოგჯერ მათ თეთრი გიორგის ეკლესიის ჯაჭვი ჰქონდათ კისერზე. ისინი ეკლესიას დაჩოქილები უვლიდნენ გარშემო, გალობდნენ და კედლებზე ანთებულ სანთლებს აკრავდნენ. ერთი მონა ქალი კვირისტავით ბამბის ძაფს ართავდა და ეკლესიას გარშემო ახვევდა. რომელიმე მონა ქალი კი ზოგჯერ შესასვლელი კარის წინ დაეცემოდა და მღვდელს, მლოცველს, ვისაც ეკლესიაში შესვლა უნდოდა, მისთვის უნდა გადაებიჯებინა.

ხალხს სალოცავში შესაწირი ცხვრები მიჰყავდა. დაკვლის წინ მიუყვანდნენ მღვდელს, რომელიც საკლავს სანთლით ბალახს შეუტუსავდა, იტყოდა: „წმიდაო გიორგი, შეინირე საღმრთო მონისა შენისა“ და შემწირველის სახელს წარმოთქვამდა. ისინი, ვისაც შეთქმული, დათქმული ჰქონდა შანას ტარება და ვადა უკვე გასვლოდათ, მიდიოდნენ ეკლესიის დიაკვანთან, რომელიც მათ შესაწირ საკლავს, საღმრთოს, ბალახს შეაჭრიდა და მონებს შანას შეხსნიდა. შანა მავთულის იყო, ჯაჭვის მაგივრობას სწევდა და მონას ყელზე ჰქონდა შემოხვეული.

პირიქით ხევსურეთში მარიამობა მხოლოდ არხოტში აღინიშნებოდა, ხოლო პირაქეთში – სათემო ჯვრებში. ამ დღეს განსაკუთრებული წესები არ სრულდებოდა და მარიამობა პატარა დღეობად მიაჩნდათ. ასევე იყო ფშავშიც.

თუშეთში მარიამობას ზოგან ლუდსაც ადუღებდნენ და საზიარო საკლავსაც ყიდულობდნენ, მაგრამ ძირითადად სუფრა სახლში მზადდებოდა. ეს დღე მიცვალებულთა დღე იყო. ყველა ოჯახი მიცვალებულისთვის სუფრას ამზადებდა, სოფლის საჯარეზე გამოიტანდა და ერთად მოიხსენიებდა გარდაცვლილთა სულებს. ისინი, ვისაც იმ წელს მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავდა გარდაცვლილი, სტომიან პურს აცხობდნენ და სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ბავშვებს ურიგებდნენ.

გუდამაყარში მარიამობას ხალხი ადგილობრივ ხატებშიც მიდიოდა და იქ აღნიშნავდა დღესასწაულს, მაგრამ ამ დღეს საერთო საგუდამაყრო სალოცავის, პირიმზე ფუძის ანგელოზის დღეობაა და ამიტომ ხალხი უმთავრესად იქით მიეშურებოდა.

ხალხის გადმოცემით პირიმზე და ფუძის ანგელოზი და-ძმანი არიან. პირიმზე სოფელ ჩოხშია, ფუძის ანგელოზი კი ხევსურეთშიო. თუ პირიმზეს დღეობა შუა კვირაში ექნებოდა, ანუ მარიამობა შუა კვირას დაემთხვეოდა, მლოცველი გუდამაყრიდან ხევსურეთში მომდევნო კვირის პარასკევს მიდიოდა. ახოობაზე, ანუ ფუძის ანგელოზობაზე, საკლავი შაბათს უნდა დაიკლას.

ხალხი პირიმზეს ცის ნაპირამდე მოარულს, უყმო ყმის მშველელს ეძახის. ვინც უნდა თხოვოს, ყველას მშველიაო. თურმე ძველად ხევსურეთში კერპები ხალხს არ უშვებდნენ სალოცავად. ფხიტურზე ყოფილა პირიმზე. ღვთის შვილებიდან მხოლოდ ის შებრძოლებია კერპებს და ბრძოლის შემდეგ ამ ადგილს საგუბია დარქმევიაო. პირიმზეს იახსრისთვის უთხოვია, მე თუ ვერ შევძელი კერპების დმარცხება, შენ დამეხმარეო, მაგრამ თავადაც გამკლავებია.

მლოცველები პირიმზეში ღამისთევით მიდიან და მრავალი საკლავი (ცხვარი, კურატი) მიჰყავთ. დღემდე ხატში მიაქვთ ქადა-სანთელი. ხატში მისულ მლოცველს ქადა-სანთელი დეკანოზთან მიაქვს, რომელიც მიმტანს ლოცავს და სანთელს ანთებს. ქადას ძველად მთლიანად მას უტოვებდნენ, ახლა სახლში მოაქვთ. ქადას სამწყალობნოს ეძახიან. დეკანოზს ზოგჯერ ფულსაც აძლევდნენ. დეკანოზი საკლავზეც ილოცებოდა. ამ დროს ხატის დროშა იყო გამობრძანებული. ყველა საკლავის დაკვლაზე დროშას შეარხევდნენ და ზარი ირეკებოდა. ყველა იქ მყოფი პირით აღმოსავლეთისაკენ დგებოდა, დეკანოზი საკლავს ანთებული სანთლით ბალახს შეუტუსავდა, დსტურები საკლავს ფეხებს დაუჭერდნენ, დეკანოზი ხანჯლით ყელს გამოჭრიდა, პატრონი კი ატყავებდა.

პირიმზეში გაყავდათ ბავშვები და ხატში მიბარების წესს ასრულებდნენ. ამჯერადაც ოჯახს დეკანოზთან უნდა მიეყვანა საკლავი. დეკანოზი დაილოცებოდა, საკლავს დაკლავდა და თუ ბავშვი ბიჭი იყო, საკლავის სისხლს შუბლზე ჯვარს გამოუსახავდა, ხოლო თუ გოგონა იყო, მარჯვენა ხელის გულზე.

ხატში ფერხისას ასრულებდნენ. ძველად იგი ორსართულიანიც იყო. ფერხისას ამგვარ ტექსტზე

მღეროდნენ:

„ჩვენი პირიმზის კარზედა
ხე ალვა ამოსულაო.
იმას დაუსხამს ყურძენი,
საჭმელად შამოსულაო.
იმის უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ ჩამოშლილაო“.

ამავე ტექსტს სხვა ხატებშიც მღეროდნენ. როდესაც ხატში საკლავის ხორცი გამზადდებოდა, იშლებოდა სუფრა და იწყებოდა ლხინი, ცეკვა-სიმღერა, სადღეგრძელოები, ერთმანეთის გადაპატიჟება.

ამ ხატობაზე ავადმყოფებსაც მკურნალობდნენ. როდესაც პირველად ხატს ანუ ჩვეულებრივ ჯვარს გამოაბრძანებდნენ, ეკლესიის კარის წინ ავადმყოფები პირქვე იყვნენ გაწოლილები. უხუცესი დეკანოზი (ხატში შეიძლება რამდენიმე დეკანოზი ყოფილიყო) ავადმყოფებს სამჯერ დროშის ტარით ჯვარს გადასახავდა. თავზე, წელზე და ორივე მხარზე ამ ტარს დააჭერდა, ავადმყოფს ცალი ფეხით წელზე შეადგებოდა, ახლა უკვე ფეხს აჭერდა და სამჯერ გადახტებ-გადმოხტებოდა. ამას ხატით გალახვას უწოდებდნენ. ამის შემდეგ დეკანოზი ჯვარს ლუდში ამოავლებდა და ამ ლუდს ავადმყოფს დაალევინებდა.

მთიულეთში მარიამობა საერთო სათემო დღეობა იყო. იკვლებოდა საერთო სათემო საკლავი, საერთო სათემო წესები სრულდებოდა და სუფრაც ერთი იშლებოდა.

ხევში მარიამობა ცნობილი და ამ კუთხის მთავარი სალოცავის, გერგეთის სამების, დღესასწაულია. გერგეთში მარიამობაზე დღემდე მთელი ხევიდან მიდიან. მლოცველები მიდიოდნენ ჩრდილო ოსეთიდან, სტავროპოლიდან. ესენი იყვნენ: რუსები, ბერძნები და სხვები. წირვა-ლოცვის გარდა იწირებოდა საკლავი (ცხვარი, ხარი), რომლებსაც დეკანოზი კლავდა. იმართებოდა დოღი“.

მოამზადა ია გიგიაშვილმა

ეს საინტერესოა

მოდით გაიხსენეთ რისთვის დაიბადეთ, რა ცოდვები უნდა გამოგესყიდათ?

ხვდებით ვიღაცას და პირველი დანახვისთანავე გგონიათ, რომ მთელი სიცოცხლე იცნობდით – როგორ განმარტავენ ამ ფენომენს ასტროლოგები

ასტროლოგი ხათუნა ნოელი სოციალურ ქსელში წინა ცხოვრებისა და რეინკარნაციის შესახებ საინტერესო პოსტს აქვეყნებს:

„როდესაც ამ ქვეყნად მოდივართ, მუდამ გვაქვს არჩევანი – სად დავიბადოთ, ვის გვერდით ვიცხოვროთ, ვინ გვიყვარდეს, ვინ გვძულდეს... ვირჩევთ ჩარჩოს, და მერე... არჩევანი უკვე მხოლოდ ამ ჩარჩოს ფარგლებშია – წავიდეთ ერთი კიდისკენ, თუ მეორისაკენ, თუ ადგილი ვტკეპნოთ.

საქმე იმაშია, რომ პირვანდელი არჩევანი ჩვენ აღარ გვახსოვს. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ თუ გვეცოდინება, რომ ეს მხოლოდ როლია, არასერიოზულად მივუდგებით ტკივილებსაც, სიხარულსაც. არადა იმიტომ ვიბადებით, რომ განცდების საშუალებით გავიწმინდოთ, გავსუფთავდეთ, ავმაღლდეთ პირველყოფილ სისრულემდე.

რისთვისაა ეს საჭირო? ალბათ იმისთვის, რომ რადგან ჩვენ აბსოლუტის ანუ ღმერთის ნაწილები ვართ, უნდა შევესაბამებოდეთ მის ქათქათა სინათლეს, და ყოველი ბნელისაგან განვთავისუფლდეთ.

ეს ყველაფერი ქვეცნობიერს ახსოვს, სწორედ ამიტომ სიზმარში გადასვლისას, ან მედიტირებისას რაღაც ინფორმაციის ნაწილი შესაძლოა მოგვეწოდოს დასახმარებლად, რომ იმ გზაზე მოვმართოთ ჩვენი თავი, რისთვისაც მოვედით ამ ინკარნაციაში.

ვინც მინიშნებებს ვერ ხვდება, იმას სამყარო გაფრთხილებებს უგზავნის. ეს სიგნალები შესაძლოა იყოს დაბრკოლებები, ან ავადმყოფობები. ზოგჯერ სერიოზული პრობლემები. როგორც წესი ასეთი მომენტები კარმულ წლებს ემთხვევა...

თუ ამ სიგნალებს ადამიანი ყურს არ ათხოვებს, შესაძლოა ის დროებით წაიყვანონ და, ასე ვთქვათ, კარგად შეაჯანჯღარონ. კლინიკურ სიკვდილზე ვსაუბრობ. უკან დაბრუნებული ადამიანები ცოტა ხანში „აგნებენ“ თავიანთ გზას – ზოგი „მოულოდნელად“ ხატვას იწყებს, ზოგი ქველმოქმედებით კავდება, ზოგი ეზოთერიაში ებმება... ცვლილებები მრავალგვარი შეიძლება იყოს... მაგრამ ყველა ჩვენს უკეთესობისაკენ შეცვლას ემსახურება.

ჰო, კიდევ – სხვა ადამიანები... ალბათ შეხვედრიხართ ვიღაცას და პირველი დანახვისთანავე რაღაც გიგრძვნიათ, ზოგჯერ უსიამოვნო, ზოგჯერ პირიქით. ხანდახან გგონებიათ, რომ მთელი სიცოცხლე იცნობდით ერთმანეთს, როგორც წესი, ასეთი შეგრძნება ორივე მხარეს აქვს ხოლმე. და არც ცდებით – მართლა მთელი ცხოვრება იცნობდით, ოღონდ... სხვა ცხოვრებაში. იქ შესაძლოა დები იყავით, ან ძმები, ან მეუღლეები, ან დედა-შვილი, შესაძლოა გძულდათ ერთმანეთი, მტრობდით კიდეც. და ახლა მაშინ დაგროვილი ვალების გასასტუმრებლად შეხვდით. მინახავს სინასტრია, სადაც თითქოს ყველაფერი იდეალურადაა. მაგრამ წყვილი არადა არ ქორწინდება. რატომ? იმიტომ, რომ წარსულ ინკარნაციებში ერთმანეთს არ იცნობდნენ, ეს მათი პირველი შეხვედრაა. არადა მეუღლეები აუცილებლად, დიახ, დიახ – აუცილებლად წინა ცხოვრებიდან გამოყოლილი ვალების გასასტუმრებლად ხვდებიან ერთმანეთს ხელახლა. და რადგან ეს მათი პირველი შეხვედრაა, ექნებათ მეორეც, შესაძლოა მეათეც ჰქონდეთ, და რომელიმეში დაქორწინდნენ კიდეც... მაგრამ არა ახლა... ასეა.

კიდევ რა? კიდევ ის, რომ ჩვენ ყველას სინამდვილეში ერთმანეთი გვიყვარს. არავის არავინ არ სძულს. იმიტომ, რომ რეალურ უნივერსში ჩვენ ყველანი ერთნი ვართ – მთლიანის შემადგენელი ნაწილები.

თუ ვიმე აქ „ცუდის“ როლს თამაშობს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის მართლა ცუდია. სამყარომ უკეთ იცის.

ის „ცუდი“ შესაძლოა იმისთვის მოვიდა, რომ ვიღაცას ატკინოს, რათა იმ მეორემ პატიება ისწავლოს. ჯერ კიდევ დაბადებამდე შეთანხმდნენ ამაზე. სამწუხაროდ აღარ ახსოვთ, სამწუხაროდ ბრაზი იპყრობთ... ჩივიან – რატომ, ღმერთო, რატომ?

გიყვარდეს მტერი შენი – პასუხობს უფალი. მაგრამ უსმენს კია ვინმე?

მოდით, გაიხსენეთ რისთვის დაიბადეთ, გაიხსენეთ რა ცოდვები უნდა გამოგესყიდათ როცა აქ მოდიოდით, ვისი ვალები გაქვთ... და ნუ გაკილავთ სხვებს იმისათვის, რომ თქვენგან განსხვავებულად სცოდავენ. ჩვენ ხომ ყველანი ვცოდავთ“....

მობრძანდით, – დაისვენეთ, გაერთეთ და გაიკაჟეთ სხეული

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

– როგორც ვიცით სპორტული გაჯანსაღების მიზნით, გაქირავებაში გაქვთ ველოსიპედები, კიდევ რა სპორტულ-გამაჯანსაღებელი საშუალებებით შეიძლება ისარგებლონ თქვენთან მოსულმა ადამიანებმა და ფინანსურად რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის?

– გარდა ხმელეთის ველოსიპედებისა, ტბაზე ქირავდება წყლის ველოსიპედებიც, დამსვენებლებისთვის მისაღებ ფასებში. გარდა ამისა, გვაქვს ფეხბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, აგრეთვე ჩოგბურთის კორტი, პლაჟის ხელბურთის და ფრენბურთის მოედნები, სავარჯიშო მოწყობილობები, საქანელები, როგორც ბავშვებისათვის, ისე დიდებისათვის. ყველა სპორტული მოედანი ღამით განათებულია და არის უფასო.

– ბატონო მალხაზ, ყვარლის შემოსასვლელში გახსნილ ახალ საბავშვო-გასართობ ცენტრსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. ყველა მიესალმება ამ კეთილშობილურ საქმეს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ პარკის დამსვენებლები გულისტკივილს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ მათი ფინანსები ვერ წვდება იქ დაწესებულ ფასებს, ამიტომ ზოგიერთი ახალგაზრდა მოზარდი გულისტკივილით ტოვებს იქაურობას. როგორ შეიძლება შევუმსუბუქოთ ეს ტკივილი ჩვენს მოზარდებს? თუ გვექნება ამის საშუალება?

– ყვარლის შემოსასვლელ პარკში ყველა სპორტული მოედანი, სავარჯიშო მოწყობილობები, საქანელები, საბავშვო-საცურაო ატრაქციონები არის უფასო და ყოველდღიურად ასობით ბავშვი თამაშობს, ერთობა და კმაყოფილები მიდიან სახლში. რაც შეეხება ელექტრომატარებლისა და ცხენების კარუსელის ფასს, ღირს 1 ლარი, რომელიც, ვფიქრობ არც ისე ძვირია და ხელი მიუწვდება ყველას.

გარდა ამისა, ყოველდღიურად გვაქვს საქველმოქმედო აქციები. მოსახლეობა კმაყოფილია და მადლიერებას გამოხატავს მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონ ილია მზექალაშვილის მიმართ, რომლის ინიციატივითაც აშენდა არსებული პარკი.

– ბატონო მალხაზ, რა გაქვთ გეგმაში შემდგომისთვის ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ?

– მომავალი წლიდან პარკში დაგეგმილი გვაქვს რამოდენიმე ახალი ატრაქციონის დამონტაჟება. თავისუფალ ტერიტორიებზე მიწის შეტანა და ბალახის დაგება.

– რას ეტყოდით ჩვენს მოსახლეობას?

– მობრძანდით, დაისვენეთ, გაერთეთ, გაიკაჟეთ სხეული. ამასთან ერთად, გვაქვს სათხოვარი, ნუ შეხვალთ წყალში ნასვამ მდგომარეობაში, ნუ დაანაგვიანებთ როგორც ტბის, ასევე პარკის ტერიტორიას. რამეთუ, ეს ყველაფერი ჩენი შვილების, მომავალი თაობებისათვის არის განკუთვნილი.

გმადლობთ.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტი (პირობიანი აუქციონი)

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990103336854217

№ 704 **17 / აგვისტო / 2017 წ.**

ყ ვ ა რ ლ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ უ თ რ ე ბ ა შ ი ა რ ს ებ უ ლ ი ქ ო ნ ებ ი ს პ რ ი ვ ა ტ ი ზ ებ ი ს მ ი ზ ნ ი თ
ს ა ჯ ა რ ო (პ ი რ ო ბ ი ა ნ ი) ა უ ქ ც ი ო ნ ი ს გ ა მ ო ც ხ ა დ ებ ი ს შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტის; 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის; ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 თებერვლის №4 დადგენილების „ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" თანამხმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს პირობიანი საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის ,,საპრივატიზაციო და სააუქციონო" კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი — ილია მზექალაშვილი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

მყიდველი ვალდებულია 1 წლის განმავლობაში ხიდის განახლებითვის, კუნძულის და არსებული თავისუფალი მიწის ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის გაიღოს 1 350 000 ლარის ინვესტიცია, მუნიციპალიტეტის შემდგომში პოპულარიზაცის მიზნით..

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე"–ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე"–ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 3005633904;

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე" – ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები(საჯარო აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათი შესრულების თაობაზე წარუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ქონების მმართველს.

6. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელი ნაწილის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განსახორციელებელი ინვესტიციის დარჩენილი ნაწილის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

7. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მუნიციპალიტეტის ქონების მმართველის მიერ განიხილება საჯარო აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძვლად.

8. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი, აგრეთვე პრივატიზებული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

9. აუქციონში გამარჯვებული პირი პირობებიანი საჯარო აუქციონის შემთხვევაში საჯარო აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში, იხდის მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრულ ღირებულებას. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა, ოქმსა და ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ საჯარო აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს ან/ და საგარანტიო თანხას/ბეს და სრული ღირებულების ოდენობას შორის სხვაობას.

10. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების შესაბამისად.

11. აუქციონი ტარდება 2017 წლის 19 სექტემბერს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2017 წლის 21 აგვისტოდან 19 სექტემბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

12. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტის და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1 – ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993 ; 595 903 322; 599 855 966; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	სასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი, ილიას ტბის ტერიტორია	6583	-	57.06.51.243	262170	52434	13110

ძაღლი ბლომად ყრის, ბევრი გგონიათ, ძაღლისა არა, მაგრამ ცხვრის ფარა გაგვიგონია!

ქართული მედია საშუალებები დიდი ზარზეიმით ავრცელებენ გაეროს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შობადობის მკვეთრი შემცირების გამო საქართველო მომაკვდავ ერთა შორის მოიაზრება.

ვერ მოგართვით, ბატონებო! სანამ საქართველოს ცისქვეშეთში ერთი ადამიანი მაინც დაბობღავს ქართულად მოლაპარაკე, საქართველოს უკვდავება ჯვარდაწერილია უფლისაგან.

სწორედ ამ უკვდავების გამოძახილია ეს პატარა ლექსი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის 8 აგვისტოს ომის ფონზე.

ცოტა ხართ და გადაშენება
ვით მცირე ხალხთა თქვენი ბედია!
– რას დაგვჩხავიხართ?! ჩვენ უკვდავება
დაბადებიდან დაგვბედებია.

თავდასხმა, რბევა და სისხლის ნთხევა
ქართველზე, ვის არ გაუბრძოლია,
მაგრამ მიხრწნილი ერის სიმცირით
საქართველო ვის გაუგონია?!

იმდენი გვყავდა მტერი უზღვავი,
რამდენიც ჯერ სხვას არა ჰყოლია,
მაგრამ ქართული სული უკვდავი,
მაინც ვერავის დაუმონია!

რეზიუმე ქართულ ენაზე

ცხვარი შობს ნაკლებს,
მაგრამ ტყუპბიჭა ბატკნებს
მარადისობა დაგვანათლა
უფალმა ქართველს!
ძაღლი ბლომად ყრის, ბევრი გგონიათ,
ძაღლისა – არა, მაგრამ – ცხვრის ფარა
გაგვიგონია, გაგვიგონია!!!

ზაქრო გუთიაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

– ეკატერინემ ჭიამაია ხელის გულზე მოითავსა და უჩურჩულა: – გაფრინდი ჭიამაია-ო, თან ეღიმებოდა, რასაც ფიქრობდა მოერიდა ხმამაღლა თქმა, თითქოს ჩაესმა ალერსიანი სიტყვები მწერს, აფრინდა და უცებ ტატოს მკერდზე შეაფრინდა, გაოცებულნი დარჩნენ, ეკატერინეს მეტყველი თვალები სიხარულისგან გაუბრწყინდა, თავის ფიქრს ფიქრითვე უპასუხა. – ნუთუ? – აღფრთოვანებას ვერ მალავდა, თავი ბედნიერად იგრძნო.

ჭიამაიას სწრაფი აფრენასავით გაფრინდა წლები.

ტატო გრძნობდა ცხოვრების უკუღმართობას, არ ეპუებოდა, რადგან პოეზიის მოტრფიალე ლექსებში ხედავდა შვებას, მას ხომ ყოველ სტრიქონში ტრფიალი მიჯნური სულის გრძნობებით ჰყავდა ჩაქსოვილი და ასეც იყო: ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში წვეულებაზე მოწონება დაიმსახურა, რომელიც მთელი არსებით ეტრფოდა სილამაზის ნაზ არსებას ეკატერინეს, რომელსაც თეთრ კაბაში გამოწყობილს ყელი შვლის ნუკრივით მოეღერებინა და მოხიბლული უსმენდა, ეს რას ნიშნავდა მისთვის არავინ იცოდა, არავის ესმოდა ეკატერინეს გარდა, ეგონა ყველაფერი ამით გაუმართლდებოდა, სიცოცხლე გაულამაზდებოდა, მაგრამ რა იცოდა ცხოვრება რა სიმწარეს უმზადებდა, მეხივით დაეცა თავზარი, რომ გაიგო ეკატერინე დადიანს მიჰყვებოდა, ფიქრობდა:

– ნუთუ, იმიტომ, რომ ვარ გლახაკი, ფუფუნებაში აღზრდილ ეკატერინესათვის ასეა საჭირო.

– ნუთუ, იმიტომ, რომ ვარ მახინჯი ეკატერინესათვის რაინდია საჭირო, ან იქნებ ყოველი მისი მოქმედება მხოლოდ შეცოდების მიზნით იყო:

– ო, არა, არა, – ეს ხომ მისთვის უფრო მწარე ხვედრი იქნებოდა.

– ო, არა, არა, – გაფიქრებაც კი არ სურდა.

ბედკრულს სული ეტანჯებოდა, მაგრამ მტკიცედ სჯეროდა ერთ ბედნიერებას ვერავინ წაართმევდა, პოეზიის სიყვარულს, რადგან ეკატერინე ყოველთვის მასთან იყო.

მერი პატარაძლიშვილი,
მარტი. 1986 წ.

ნინო ანანიაშვილი

ნინოს მინდვრის ყვავილები

ბავშვობაში კარგად ახსოვს მოფარფატე პეპლებს დასდევდა, როგორ ხიბლავდა მათი ნავარდი, უნატრია მათნაირი ფრენა. თითქოს ახდაო ბავშვობის ნატვრა. თეატრის დიდ სცენაზე ბალეტის თეთრი კაბით დაფრინავს ნაზად, ელასტიურად, მას ვერ მისწვდებიან, როგორც მაშინ ვერ მისწვდა პეპლებს, რომ მოფერებოდა, ახლა კი მას მსოფლიო მაყურებლები ეფერებიან შეძახილებით: ნინო! ნინო! – მადლობა – ამბობს ღიმილით ნინო ყვავილებით ხელდამშვენებული, ყვავილები, ბევრი ყვავილები, მაგრამ არსადაა ის მინდვის ყვავილები, მაშინ პეპლები რომ აფრინდებოდნენ.

1987 წ. თებერვალი, მერი პატარაძლიშვილი

არქივის შენობას დროული მიხედვა სჭირდება

სამწუხაროა, რომ ვამბობთ ყოფილი. ერთ დროს ამ შენობაში განთავსებული არქივი, მისი თანამშრომლები კეთილსინდისიერად და პატიოსნად ემსახურებოდნენ რაიონის მოსახლეობას. მაშინდელმა არქივის გამგემ, აწ განსვენებულმა ქალბატონმა მაყვალა სამიტაშვილმა რა აღარ იღონა, რომ რაიონს ახალი არქივის შენობა ჰქონოდა. მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილებით, მოხდა არქივების გაერთიანება და ჩვენი არქივიც თელავის არქივს შეუერთდა. დარჩა შენობა პატრონის გარეშე. დღეს რომ იქ შეიხედოთ, სავალალო მდგომარეობა დაგვხვდებათ. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ შენობა ბავშვების და მშობლების დაუდევრობის შედეგად მთლიანად დაწვას გადაურჩა. ახლა გარშემომყოფმა ზოგიერთის ავმა ხელმა შენობა მთლიანად მიწასთან გაასწორა, დაიწყეს რკინის კარ-ფანჯრების ჩამოღება, რამდენიმე ხნის წინ კი იქვე მდგარი ხის დაცემის შედეგად ჭერი ჩამონგრევის პირასაა; იქვე მცხოვრებლებმა, რომლებსაც მართლა ძალიან სტკივათ გული, ჩემთან საუბარში აღნიშნეს, რომ შენობა დანგრევის და განადგურების პირსაა მისული, ახალგაზრდები შიგ შედიან და მთლიანი შენობა რომ იტყვიან ტუალეტადაა ქცეული. ჩვენს ქონებას ჩვენ თვითონ თუ არ ვუპატრონეთ და არ დავიცავით, ყველაფერი დაგვენგრევა.

გულშემატკივარი

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ,

ფიტოთერაპია

დაემშვიდობეთ დიაბეტს, სიმსივნურ წარმონაქმნებსა და სიმსუქნეს! გაყინულ ლიმონს ჯადოსნური თვისებები აქვს!

უკვე მრავალმა კვლევამ ცხადყო, რომ ლიმონს შესანიშნავი სამკურნალო თვისებები გააჩნია. მაგრამ, შეიძლება არ იცოდეთ, რომ გაყინულ ლიმონს ჯანმრთელობისთვის ბევრად უფრო მეტი სარგებელი მოაქვს. ლიმონს აუცილებლად კანიანად ყინავენ, რადგან ამ დროს კანი რბილდება და მისი ჭამა ადვილია. ლიმონის კანი დიდი რაოდენობით ნუტრეინებს შეიცავს, რაც სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირებას, იმუნიტეტის სიძლიერეს და კიბოს პრევენციას უზრუნველყოფს. იგი ასევე შეიცავს ანტიმიკრობულ, სოკოს საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიულ ნივთიერებებს.

მისი რეგულარული მოხმარება ორგანიზმში პოზიტიურ ცვლილებებს იწვევს:

- ამცირებს ინსულტის განვითარების რისკს;
- გამოიყენება კიბოს პრევენციისთვის;
- აძლიერებს იმუნურ სისტემას;
- აქვს ანტიბაქტერიული მოქმედება;
- ამცირებს ასთმის სიმპტომებს;
- ებრძვის შფოთიანობასა და ნერვულ დაძაბულობას;
- ასუფთავებს ღვიძლსა და თირკმელებს;

ეფექტურად წვავს ცხიმებს. კვლევებმა ცხადყო, რომ ლიმონის კანი ეფექტურია სიმსივნური წარმონაქმნების 100-მდე სახეობის მკურნალობის დროს. მან შეიძლება უკეთესად იმოქმედოს, ვიდრე ტრადიციულმა ქიმიო და სხივურმა თერაპიამ.

როგორ მოვამზადოთ ლიმონის ყინული:

გარეცხეთ ლიმონი ცივი წყლით და გაამშრალეთ, დეზინფექციისთვის ვაშლის ძმარი გადაავლეთ და მაცივარში, საყინულეში შედეთ. აქ მხოლოდ 12 საათით გააჩერეთ, შემდეგ გამოიღეთ და კანიანად გახეხეთ მთლიანი ლიმონი. მიღებული მასა მოათავსეთ, ყინულის უჯრაში, სადაც სითხეს ვყინავთ და როცა გნებავთ მაშინ გამოიყენეთ!

„მასთან მიკარებითაც ყველა დაავადებას მოირჩენ“ – რეჰანის ჯადოსნური თვისებები

„მასთან უბრალოდ მიკარებითაც ყველა დაავადებას მოირჩენ, მასზე ლოცვით ყველა შიშს განდევნი“ – ეს გახლავთ ინდუიზმის წმიდა წიგნ „სკანდა პურანიდან“ მონაკვეთი, სადაც რეჰანის ჯადოსნურ თვისებებზეა საუბარი . რეჰანი შეიცავს 1, 5 % ეთერზეთებს, 6% ტანინებს, საპონინებსა და გლიკოზიდებს. მისი სურნელიც სწორედ ეთერზეთების შემადგენლობით აიხსენება. გარდა ამისა, იგი შეიცავს ვიტამინ C, B2, PP, პროვიტამინ A-ს, შაქარსა და კაროტინს. რეჰანი შესანიშნავად ასტიმულირებს იმუნურ სისტემას, იცავს ორგანიზმს ინფექციებისაგან. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ იგი ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. რეჰანს შეუძლია თითქმის ყველა სახის დავაადების მკურნალობა; იქნება ეს რესპირატორული, ვირუსული, ბაქტერიული თუ სოკოვანი, სასუნთქი გზების ინფექციები ბრონქიტი (მწვავე და ქრონიკული), ასთმა (შეამცირებს ანთებას და დაამშვიდებს სუნთქვას. ზოგჯერ აღმოფხვრის ასთმის მიზეზს). იგი ეფექტური სიცხის დამწევია, შლის ფილტვებსა და ცხვირში წარმოქმნილ ზედმეტ ლორწოს. ასევე, შლის მსხვილ ნაწლავში წარმოქმნილ აირებს. აძლიერებს ნერვულ სისტემასა და მეხსიერებას. აქრობს პირის ღრუში წარმოქმნილ უსიამოვნო სუნს. აძლერებს კბილებს და ხელს უშლის კარიესის განვითარებას.

რეჰანი შეიცავს ვერცხლისწყალს, ამიტომ მისი ხშირად დაღეჭვა არ არის რეკომენდირებული. უმჯობესია, თუ მისგან მომზადებულ სალათს მიირთმევთ. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რეჰანი შეიცავს ანტიოქსიდანტებს, ნივთიერებებს, რომელიც ხელს უშლის კიბოს უჯრედების წარმოქმნას. რეჰანი გამოიყენება მეტეორიზმისა და კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადებების დროს.

მის შემადგენლობაში შედის ფერმენტები, რაც ხელს უწყობს ცხიმის დაწვასა და წონის კლებას. რეჰანისგან შეგიძლიათ სასმელიც მოამზადოთ: მის ახალ ფოთლებს დაასხით 1 ლიტრი წყალი და ადუღეთ. გადაწურეთ და 1 ს/კ თაფლი დაუმატეთ. ეს სასმელი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, გონებრივ მუშაობას და იცავს ორგანიზმს ინფექციებისაგან.

გაიკეთეთ იოდის ბადე და გათავისუფლდით 20-მდე დაავადებისგან! ამ მეთოდს ჯადოსნური თვისებები აქვს!

იოდის ბადე შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

1. ადამიანის ორგანიზმში იოდის დეფიციტის დასადგენად;
2. ხველის საწინააღმდეგოდ;
3. გაციებისა და ვირუსის სამკურნალოდ;
4. ჭრილობების დასამუშავებლად და შესახორცებლად.

როგორ გავიკეთოთ იოდის ბადე?

კოსმეტიკური ბამბის ჯოხი დაასველეთ იოდში, პრობლემურ ადგილას ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები გაიკეთეთ. უნდა გამოიყენოთ მხოლოდ 5%-იანი იოდის ხსნარი. იოდი ხასიათდება კანში ადვილად შეღწევადობით. იგი იცავს ქსოვილებსა და სისხლძარღვებს მავნე ბაქტერიებისა და ვირუსებისგან.

იოდის ბადე ორგანიზმში იოდის ნაკლებობის დროს:

სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობის მესამედი იოდის დეფიციტს განიცდის. რაც ფარისებრი ჯირკვლის პრობლემებსა და ორსულობის პერიოდში, ბავშვის დაბადებიდან ფიზიკურ და გონებრივ შეზღუდულობას იწვევს. რათა დადგინდეს აკლია თუ არა თქვენს ორგანიზმს იოდი, არა არის საჭირო ტესტის ჩატარება. თქვენ მხოლოდ კანზე უნდა წაისვათ იოდის მცირე რაოდენობა. კონკრეტულად კი ბარძაყის შიდა ნაწილზე, გააიკეთეთ იოდის ბადე, დაელოდეთ 3 საათი, თუ ხაზი გაუფერულდა ან გაქრა ე.ი თქვენს ორგანიზმს იოდი აკლია. იმ შემთხვევაში თუ თქვენს კანს იოდის შესაწოვათ 6-8 საათი დასჭირდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იოდის მცირე ნაკლებობა გაქვთ. ამ პრობლემას კვების რაციონის გამდიდრებით უნდა ეცადოთ. თქვენს რაციონში აუცილებლად ჩართეთ თევზი და ზღვის პროდუქტები, ისინი იოდის წყაროს წარმოადგენენ. თუ თქვენ არ გაქვთ იოდის დეფიციტი, მაშინ გავლებული ხაზის კვალი მეორე დღეს გაქრება.

რამდენად სასარგებლოა იოდის ქსელების გაკეთება გაციების დროს?

როდესაც საქმე სახეს ეხება სიფრთხილეა საჭირო. გაციების დროს, იოდის მკრთალი პატარა ხაზები გაავლეთ ნესტოებში. გაციების დროს ასევე კარგია ფეხის გულებზე იოდის ბადის გაკეთება.

ჭრილობების, დაბეჟილობისა და პოდაგრის დროს – იგი ხელს უწყობს დაბეჟილობებისა და სისხლჩაქცევების სწრაფად მოშორებას. თუმცა, მისი გამოყენება დაზიანებიდან ერთი დღის შემდეგ არის რეკომენდირებული. პირველ დღეს შეგიძლიათ ნაჭერში გახვეული ყინულები დაიდოთ და მხოლოდ მეორე დღეს წაისვათ იოდი. პოდაგრის დროს, პრობლემურ ადგილზე იოდის ბადე გაიკეთეთ.

აი, რატომ უნდა დაყაროთ მარილი კარებთან! მიზეზი გაგაოცებთ! ეს უნდა იცოდეთ!

თქვენ შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მარილი უძველესი დროიდან გამოიყენება, როგორც დეზინფექციისა და გამწმენდი საშუალება. მისი საშუალებით, სხვადასხვა ნივთების გაწმენდასა და დეზინტოქსიკაციას შეძლებთ. გარდა ამისა, იგი საკმაოდ იაფია. ბევრ მაღაზიაში იყიდება სანმენდი საშუალებები, მაგრამ ისინი ქიმიკატებს შეიცავენ, რაც ჯანმრთელობისთვის მავნებელია.

უფრო დეტალურად რისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ მარილი:

1. მწერებისაგან დაცვა – თუ გსურთ, რომ ფანჯრებს, კარებებსა და გარდერობს მწერები აღარ მიეკარონ, ამ ადგილებში მარილი დაყარეთ. იგი ასევე შეამცირებს სინესტეს თქვენს სახლში;

2. ვერცხლის, თითბერის (ლატუნის) და სპილენძის ნივთების გასაწმენდად – ეს მეტალები ბუნებრივ შეფერილობას კარგავენ, თუ მათ პერიოდულად არ წმენდთ. შეურიეთ ერთმენეთს ვაშლის ძმარი და მარილი, ეს საშუალება ნებისმიერ ლაქასა და ჭუჭს ამოიყვანს მეტალიდან;

3. კანალიზაციის გაწენდა – ცოტაოდენი მარილი გახსენით ადუღებულ წყალში, ჩაასხით აბაზანისა და სამზარეულოს ნიჟარებში. მარილი გაიტანს დაგროვილ ცხიმსა და ჭუჭყს, რაც მილების გაჭედვას თავიდან აგაცილებთ;

4. გაწმინდეთ ავტომობილისა და სახლის მინები – 2 სუფრის კოვზი მარილი გახსენით 3, 5 ლიტრ თბილ წყალში. იგი ეფექტურად მოაშორებს ლაქებს თქვენს მინებს და დიდი ხნის განმავლობაში შეუნარჩუნებს სისუფთავეს;

5.კანის გაახალგაზრდავება – შეურიეთ მარილი ლავანდის ან ზეითუნის ზეთს. წაისვით ეს ნარევი სხეულზე. რამდენიმე წუთი გაიჩერეთ და ჩამოიბანეთ. მარილი თქვენს კანს ახალგაზრდა და ჯანმრთელ იერს შესძენს;

6. აუმჯობესებს რეცხვის ხარისხს – სარეცხ მანქანაში რეცხვის დროს ცოტაოდენი მარილი დაამატეთ, იგი უნარჩუნებს სამოსს პირვანდელ სახეს და ადეზინფიცირებს მას. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა, თუ სარეცხს მზეზე აშრობთ;

7. ფარდებისა და ხალიჩების ფერების აღსადგენად – თუ გსურთ რომ თქვენს ფარდებსა და ხალიჩებს ბუნებრივი ფერი დაუბრუნოთ, მარილიან წყალში ჩაალბეთ ნაჭერი, შემდეგ კი მისი საშუალებით გაწმინდეთ ისინი. ბევრად უფრო ეფექტურია მარილიან წყალში ოდნავ დაალბოთ ჩოთქი და ხალიჩები ისე გაწმინდოთ. ამ საშუალებით მას დაგროვილ ჭუჭყსაც მოაშორებთ და პირვანდელ ფერსაც დაუბრუნებთ.

ე.წ „პერეკისი“ უნიკალური მკურნალია! მისი მიღების წესი და დოზირება!

რუსი ექიმი ივან ნეუმივაკინი დიდი ხანია საზოგადოებას არწმუნებს, რომ წყალბადის ზეჟანგი უნიკალური მკურნალია. მას ამის შესახებ წიგნი აქვს დაწერილი, სადაც დეტალურად აღწერს წყალბადის ზეჟანგის სამკურნალო თვისებებსა და მიღების წესებს. ნეუმივაკინი ერთ – ერთ გამოსვლაში ამბობს: „ჩვენ ექიმები გვატყუებენ, როდესაც გვეუბნებიან, რომ ადამიანს, დღის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ უნდა ქონდეს კუჭის მოქმედება. ეს არასწორია და ექიმი, რომელიც ამას გასწავლით არაპროფესიონალია. მე ინდოეთში გავიცანი ადამიანი, რომელმაც მასწვალა, რომ ყოველი ჭამის შემდეგ, კუჭის მოქმედება არის ნორმა“. პროფესორმა მას შემდეგ დაიწყო წყალბადის სასარგებლო თვისებების შესწავლა, რაც მსოფლიოში ღორის გრიპმა უამრავი ადამიანი მოკლა. პროფესორი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „როდესაც მე დამისვეს კითხვა ღორის გრიპთან დაკავშირებით, ის ჯერ კიდევ არ იყო რუსეთში გავრცელებული. მე ვუთხარი ყველას, რომ ეს ვირუსი არ არსებობს. ვიღაცას სჭირდება ხალხის მოტყუება იმისთვის, რომ დიდი ფული გამოიმუშავოს ვაქცინის დამზადებით. ვირუსის თავიდან ასაცილებლად ყოველდღე გამოირეცხეთ ცხვირი წყალბადის ზეჟანგით, შპრიცის დახმარებით. 4 ჭიქა წყალში გახსენით 15-20 წვეთი წყალბადის ზეჟანგი და შპრიცით ჯერ ერთი ნესტო გამოირეცხეთ, შემდეგ მეორე. ასე მოიქეცით დილას და საღამოს. თქვენს გარშემო ყველას ვირუსი ექნება, თქვენ კი არა. ის კლავს ნებისმიერ მავნე მიკრობებს, ვირუსებს, სოკოებს, ონკოუჯრედებს. ასევე საღ უჯრედებს აჯანსაღებს.

ჩვენ ხშირად ვიყენებთ წყალბადის ზეჟანს დეზინფექციისთვის, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მისი მიღება შინაგანადაც შეიძლება. იგი სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. პროფესორი ნეუმივაკინი, ქიმიური პრეპარატებისა და ანტიბიოტიკების ნაცვლად, წყალბადის ზეჟანგით მკურნალობას გვირჩევს.

წყალბადის ზეჟანგის მიღების სასარგებლო თვისებები:

ანადგურებს ვირუსულ ბაქტერიებს;
აქრობს სოკოს უჯრედებს;
ასევე აქრობს სიმსივნურ უჯრედებს;
ხელს უწყობს მეტაბოლიზმს;
ამაღლებს იმუნიტეტს;
წმენდს ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისაგან;
წმენდს სისხლძარღვებს;
ხელს უწყობს თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის ნორმალურ ფუნქციონირებას;
არეგულირებს ჰორმონების გამომუშავებას;
ტვინის უჯრედებს კალციუმს აწვდის;
ხელს უწყობს ტვინის მუშაობას;
აახალგაზრდავებს ორგანიზმს;
კურნავს ნერვულ დაავადებებს;
ეფექტურია აკნეს დროს;
მისი საშუალებით გასტრიტსა და რუფლოქს ეზოფაგიტს მკურნალობენ.

მისი მიღების წესი და დოზირება:

პირველ დღეს 2 წვეთი 3%-იანი წყალბადის ზეჟანგი გახსენით 2 სუფრის კოვზ წყალში, ყოველ დღე წყალბადის წვეთების რაოდენობა 1-ით გაზარდეთ, სანამ მისი რაოდენობა 10 წვეთს არ მიაღწევს. კვირის განმავლობაში, წყალბადის ზეჟანგის წვეთების რაოდენობამ 30-ს არ უნდა გადააჭარბოს. მისი მიღება მხოლოდ მშიერ კუჭზე შეიძლება, იმ შემთხვევაში თუ მას ჭამის შემდეგ მიიღებთ, იგი საკვებთან რექციაში შევა და მისი მოქმედება ნეგატიური იქნება. ამიტომ, მას ან ჭამამდე 40 წუთით ადრე, ან ჭამიდან 2 საათის შემდეგ ვსვამთ. 10 დღიანი მკურნალობის შემდეგ, 5 დღე უნდა შეისვენოთ. შემდეგ კი მის დალევას ვაგრძელებთ და ვიწყებთ 10 წვეთი წყალბადის ზეჟანგით, კიდევ ერთხელ გახსენებთ, რომ წვეთების რაოდენობა არ უნდა გადაცდეს 30-ს.

აკნეს მკურნალობა: გაიწმინდეთ სახე 3%-იან პერეკისში დასველებული ბამბით, ყოველ დილა-საღამოს. 5 წუთის შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. იგი ჩირქს გამოდევნის, ასევე ებრძვის კანზე განვითარებულ ბაქტერიებს.

ფეხის სოკოს მკურნალობა: გახსენით 3%-იანი პერეკისი თბილ წყალში 1:1 – ზე პროპორციით და ჩააწყვეთ ფეხები. ნახევარი საათი გააჩერეთ და შემდეგ შეიმშრალეთ.

გასახდომათ: მისი გასახდომათ გამოყენება იგივე სქემით შეგიძლიათ რაც ზემოთ წერია. იგი წმენდს ორგანიზმს დაგროვილი წიდებისა და ნალექებისგან. ამცირებს ქოლესტერინის დონეს და ხელს უწყობს მეტაბოლიზმს.

ანგინის დროს: 1 ს/კ წყალბადის ზეჟანგი უნდა გავხსნათ ერთ ჭიქა თბილ წყალში და გამოვივლოთ პირის ღრუში.

ოსტეოქონდროზის დროს: თხელი ნაჭერი დაასველეთ მცირე რაოდენობის წყალბადის ზეჟანგით და მტკივან ადგილზე დაიფინეთ.

გვირჩევენ, გვთავაზობენ!

ავშანფოთლიანი ამბროზია ეკოლოგიურად საშიში საკარანტინო სარეველა

ავშანფოთლიანი ამბროზია ეკოლოგიურად საშიში საკარანტინო სარეველაა. გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

ჩვენში გავრცელებულია როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ნათესებში, საკარმიდამო ნაკვეთებში, ლიანდაგების, გზისპირების და ღობეების გასწვრივ, მიტოვებულ და დაუსახლებელ ადგილებში.

ავშანფოთლიანი ამბროზია ყვავილობს ივლის-აგვისტოში. უხვად ნარმოქმნის ყვავილის მტვერს, რაც იწვევს ძლიერ ალერგიულ დაავადებებს – თივის ციებ-ცხელებას (თივის ანიავების დროს კანზე ჩნდება გამონაყარი) და პოლინოზს (ბრონქიალურ ასთმას).

დაავადების ნიშნებია: შრომის უნარის დაკარგვა; ზედა სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვანი გარსების შეშუპება; სურდო, ცრემლდენა, ასთმის განვითარება.

ამიტომაც, აუცილებელია სარეველას წინააღმდეგ კომპლექსური ღონისძიებების გატარება.

რა უნდა ვიცოდეთ ავშანფოთლიანი ამბროზიის შესახებ

სარეველა ვრცელდება თესლით (ნიადაგში 5-40 წელი ინარჩუნებს აღმოცენების უნარს და ცალკეულ ეგზემპლიარებს 80-100 000 თესლის მოცემა შეუძლია), კულტურულ მცენარეთა სათესლე მასალასთან და მარცვალთან ერთად, თივით, სატრანსპორტო საშუალებებით.

შემოდგომასა და ზამთარში მოუთიბავი მცენარეებიდან თესლი ვრცელდება ქარის და სხვა საშუალებებით. გაზაფხულზე გადაიტანება მდინარეებით, სარწყავი არხებით, ხევებითა და ხრამებით. სარეველა პირველ აღმონაცენს მარტის ბოლოს იძლევა, მასობრივად კი – აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში აღმოცენდება.

სარეველას საკმაოდ დიდი ვეგეტატიური მასა და მძლავრი ფესვთა სისტემა აქვს, თრგუნავს კულტურულ მცენარეებს. მცენარის თითქმის ყველა ორგანო შხამიანია.

სარეველის მიერ გამოყოფილი ტოქსინები თავის სიახლოვეს მოზარდ კულტურულ მცენარეებს არ აძლევს განვითარების საშუალებას. ფოთლებში მწარე ეთერზეთების არსებობის გამო სარეველა მკვეთრად ამცირებს საძოვრებისა და თივის კვების ღირებულებას. ასეთ საკვებს საქონელი არ ეკარება და თუ შემთხვევით მოხვდა მის ორგანიზმში იწვევს რძის დამწარებას.

ავშანფოთლიანი ამბროზიის წინააღმდეგ უნდა გატარდეს კომპლექსური დაცვითი ღონისძიებები:

სავალდებულოა, საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთებისა და ღობის პირების გასწვრივ სარეველის მოთიბვა ყვავილობამდე ან თესლის მომწიფებამდე. უნდა მოხდეს მონათიბის ამოძირკვა, ნარჩენების შეგროვება და დაწვა. მოთიბული მასა გამოუსადეგარია პირუტყვის საკვებად. ამიტომ ის უნდა შეგროვდეს და დაიწვას.

დაუშვებელია სარეველის თესლის ფრინველის საკენკად გამოყენება (რათა ნიადაგში არ დაგროვდეს თესლის მარაგი)! მოუვლელი საკარმიდამო ნაკვეთი საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას (განსაკუთრებით ახალშობილებსა და მოზარდებში დიდია ბრონქიალური ასთმის განვითარების საშიშროება).

დასარეველიანებული თესლი უნდა ინახებოდეს საღი სათესლე მასალისაგან განცალკევებით.

აგროტექნიკური ღონისძიებები

• ნიადაგის მოხვნა 10 – 12 სმ. სიღრმეზე, გათოხვნა;

• თესლბრუნვაში კულტურათა სწორი მორიგეობა;

• გათიბვა – ბუტონიზაციის ფაზაში 5 – 7 სმ. სიმაღლის მცენარე უნდა გაითიბოს 2 – ჯერ, ხოლო 12 – 15 სმ.-ის 4-ჯერ (ამოითხაროს ფესვებიანად).

სავალდებულოა:

უპატრონო, მიტოვებულ საკარმიდამო ნაკვეთებზე, გზისპირა ზოლების გასწვრივ, დაუმუშავებელ ფართობებზე, ღობის პირებზე სარეველის მცირე კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაცია (მოთიბვა, ამოძირკვა);

თუ სარეველა დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებში, მაშინ უნდა მოხდეს სარეველის კერების ლოკალიზაცია (შემოვევლოს ხის მესერი ან თხრილი) და ლიკვიდაცია (დაწვა), რათა არ გავრცელდეს მეზობელ ნაკვეთებში.

მიზანშეწონილია:

ავშანფოთლიანი ამბროზია გამოირჩევა კერობრივი გავრცელებით; მასიური გავრცელების შემთხვევაში მიზანშეწონილია ქიმიური ღონისძიების გატარება!

ქიმიური ღონისძიებები:

• არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე ამბროზიის 2-4 ნამდვილი ფოთლის ფაზაში არსენალი (იმაზაპარი) 2 – 2,5 ლ/ჰა;

• საშემოდგომო მარცვლეულ კულტურებში ბარტყობის ფაზაში – დიალენ სუპერი 0,5 – 0,7 ლ/ჰა;

• საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლის ნათესებში – ლონტრელი, დიალენ სუპერი 0,5 – 0,7 ლ/ჰა;

• სიმინდის ნათესში 3 – 5 ფოთლის ფაზაში დიალენ სუპერი 1,0 – 1,5 ლ/ჰა.

ჰერბიციდებთან მუშაობისას დაიცავით უსაფრთხოების წესები!

რეკომენდებული ჰერბიციდი შეიძინეთ მხოლოდ სპეციალიზირებულ მაღაზიებში მცენარეთა დაცვის სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ! ჰერბიციდების გამოყენებისას სავალდებულოა როგორც პირადი, ასევე გარშემომყოფთა უსაფრთხოების დაცვა!

წამლობის დროს დაამწყვდიეთ შინაური ფრინველი, ცხოველი და შეზღუდეთ ფუტკრის ფრენა. წამლის შეშრობის შემდეგ შეიძლება მათი გამოშვება, თუმცა სასურველია ისინი შეწამლულ ადგილებს მოარიდოთ 3 – 5 დღის განმავლობაში.

წამლობის ადგილს მოვარიდოთ მოსახლეობა (განსაკუთრებით ბავშვები). შეწამვლაზე მომუშავე პირებს უნდა ეცვათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ეკეთოთ სათვალე და პირზე აფარებული ჰქონდეთ სამედიცინო დოლბანდის რამოდენიმე ფენისაგან დამზადებული საფარი (რათა თავიდან ავიცილოთ ჰერბიციდის სასუნთქ გზებში მოხვედრა).

შეწამვლის პერიოდში აკრძალულია:

თამბაქოს მოწევა, წყლის დალევა და საკვების მიღება. ჰერბიციდით მოწამვლის შემთხვევაში სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს და თან იქონიეთ ჭურჭელი ან შესაბამისი ჰერბიციდის ეტიკეტი

(რათა ექიმმა დროულად და სწორედ აღმოგიჩინოთ დახმარება).

გამოუყენებელი ჰერბიციდის ნარჩენები ინახება ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას, კვების პროდუქტებისა და ცხოველთა საკვებისაგან მოშორებით.

წამლობის წინ საჭიროა დაიხუროს სასმელი წყლის ჭები. არ შეიძლება ქიმიური პრეპარატების გამოყენება ღია წყალსაცავების და წყალსატევების ახლოს. აგრეთვე, ზღვისპირა საკურორტო ზოლში ზღვის მაქსიმალური შემოჭრიდან 300 მ-ის რადიუსში გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევით.

გახსოვდეთ!

• ავშანფოთლიანი ამბროზია საკარანტინო სარეველაა!

• სავალდებულოა სარეველა მოთიბოთ ყვავილობამდე ან თესლის მომწიფებამდე, რათა თავიდან აიცილოთ მოსახლეობის თივის ციებ-ცხელებითა და პოლინოზით დაავადება!

• თქვენივე ნაკვეთისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით უნდა მოახდინოთ სარეველის კერების დროული ლოკალიზაცია-ლიკვიდაცია და გაატაროთ კომპლექსური დაცვითი ღონისძიებები!

• მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ მიწის მესაკუთრეს, რომლის მოუვლელი საკარმიდმო ნაკვეთი საფრთხეს შეუქმნის მეზობელ საკარმიდამო ნაკვეთებს!

ავშანფოთლიანი ამბროზიის კერების გამოჩენისთანავე დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენი რაიონის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის რაიონულ სამმართველოს ან სოფლის რწმუნებულს, რათა დროულად მოხდეს სარეველის კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაცია.

ავტორი: მანანა გაბრუაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის რისკის მართვისა და კომუნიკაციის სამმართველოს მთ. სპეციალისტი.

საქართველოს სამკურნალო მცენარეები – პრობლემები და პერსპექტივები

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოყენებული ნედლეულის მნიშვნელოვან წყაროს ველურად მოზარდი მცენარეები წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს ეხება იმ მცენარეებს, რომლებიც უშუალოდ ან გადამუშავების შემდეგ გამოიყენება სამკურნალო საშუალებად.

მედიცინაში გამოყენებულ სამკურნალო საშუალებათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 40% მცენარეული წარმოშობისაა.

ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში ასიათასობით ტონა სამკურნალო მცენარეული ნედლეული მზადდება. მიუხედავად ამისა, სააფთიაქო ქსელისა და სამედიცინო მრეწველობის გაზრდილი მოთხოვნები მაინც ვერ კმაყოფილდება.

ამის ერთ-ერთ მიზეზს მრავალი მცენარის გავრცელებისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ მონაცემთა არარსებობა წარმოადგენს.

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების ნაირგვარობა და კონტრასტულობა, განსხვავებული ფიტოლანდშაფტური მდებარეობა მცენარეული სამყაროს განსაკუთრებულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას განაპირობებს.

საქართველოს ფლორა მოიცავს უმაღლეს მცენარეთა 4 ათასზე მეტ სახეობას, რომელთა შორის 700-მდე გამოიყენება სახალხო მედიცინაში, 200-მდე კი მეცნიერულ მედიცინაში.

უძველესი ცნობები, რომლებიც საქართველოში სამედიცინო მიზნით მცენარეთა გამოყენებაზე მიუთითებს, მითოლოგიურია.

ბერძნული მითების თანახმად, კოლხიდაში (კოლხეთი) იყო არტემისის ჯადოსნური ბაღები, მეფე აიეტის ასული მედეა ფლობდა მცენარეთა სამკურნალო და მაგიური მოქმედების საიდუმლოს და სხვა.

შუა საუკუნეებში საქართველოში შეიქმნა მნიშვნელოვანი სამედიცინო წიგნები. მათ შორის, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (XV ს.) და დავით ბაგრატიონის „იადიგარ-დაუდი“ (XVI ს.).

მათში მოცემულია ცნობები მრავალი ველური და კულტურული მცენარის სამკურნალო მნიშვნელობასა და გამოყენების შესახებ.

თანამედროვე მედიცინაში ფიტოთერაპიას (მცენარეებით მკურნალობა) და ნაწილობრივ მედიკამენტოზურ თერაპიას საფუძვლად უდევს მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებათა გამოყენება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მცენარეებს, რომლებიც ე.წ. ბიოლოგიურად აქტიური დანამატების (ბად) სახელწოდებითაა ცნობილი.

ეს არასპეციფიკური მოქმედების მცენარეები ადამიანის ორგანიზმში იწვევს საერთო ტონუსის ამაღლებას, ნივთიერებათა ცვლის სტიმულირებას და ა.შ.

სამწუხაროდ, ამ მცენარეთა დიდი ნაწილი შეზღუდული გავრცელების, არასწორი ექსპლუატაციის ან სხვა ფაქტორების გამო გადაშენების საფრთხის წინაშეა. ამავე დროს არ არის განსაზღვრული, დაზუსტებული ან შეფასებული მრავალი მცენარის ბიოლოგიური და საექსპლუატაციო მარაგი, საფრთხეში მყოფი პოპულაციების სიმრავლე, სტატუსი, თანამედროვე არეალი.

საქართველოს ფლორის სამკურნალო მცენარეებს გააჩნია ეკონომიკური პოტენციალი, მაგრამ მათი გამოყენება შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი თვითგანახლებასთან, რაც აუცილებელია სამკურნალო მცენარეული ნედლეულით მოსახლეობის მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.

ბუნებრივი სამკურნალო მცენარეული რესურსების რაციონალური გამოყენების, მათი დაცვისა და თვითგანახლების ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება, რათა მივაკვლიოთ სად და რა რაოდენობით იზრდება ესა თუ ის მცენარე, რომელ სახეობაზეა დამამზადებლის ყურადღება მისაქცევი და სხვა.

რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, სამკურნალო მცენარეთა რესურსების რაციონალური გამოყენება ბუნებრივი სამკურნალო პრეპარატების მისაღებად გარკვეულ წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში.

გარდა ამისა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე დიდი მოთხოვნილების გამო, სამკურნალო მცენარეთა მნიშვნელოვანი ნაწილის კულტივირება გაადვილებს მათი რესურსების კონსერვაციას და გარკვეულ წვლილს შეიტანს ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საქმეში, ასევე შეიძლება გახდეს მომგებიანი კომერცია და საქმიანი წრეების დაინტერესებაც გამოიწვიოს.

agrokavkasia. ge

ყვარლის მუნიციპალიტეტი პრივატიზების მიზნით აცხადებს აუქციონს, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA990127847164317

№ 720 **22 / აგვისტო / 2017 წ.**

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.ე" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს უპირობო საჯარო აუქციონი მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით და დამტკიცდეს აღნიშნული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (დანართი №1).

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ხიზანიშვილს აუქციონის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება.

3. აუქციონის ჩატარება უზრუნველყოს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 მაისის №330 ბრძანებით შექმნილმა ყვარლის მუნიციპალიტეტის „საპრივატიზაციო და სააუქციონო“ კომისიამ.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24).

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი — ილია მზეკალაშვილი

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

მაქსიმალური ფასის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის ფასს ბიჯის გათვალისწინებით.

2. სააუქციონო პირობები:

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ყვარლის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, ყვარლის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყის ფასს, რომლის შეძენაც სურს მონაწილეს;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ყვარლის მუნიციპალიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 300568800 (პრივატიზებისათვის);

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 50 ლარი, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში: 200122900; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: 220101222; სახაზინო კოდი: 300563390; 300563313.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადის მიღების პერიოდში.

4. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას, ოქმს ხელს აწერს მყიდველი და ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, როგორც გამყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

5. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

6. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლების კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასსზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება;

7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საფასური, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

8. გარიგებათა გაფორმების წესი და მყიდველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების შესაბამისად.

9. აუქციონი ტარდება 2017 წლის 22 სექტემბერს 15 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2017 წლის 24 აგვისტოდან 22 სექტემბრის ჩათვლით 12 საათამდე, სამუშაო დღეებში. მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1

10. დამატებითი ინფორმაცია საპრივატიზებო ობიექტების და აუქციონი ჩატარების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1 – ში მდებარე ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მე-2 სართულზე; ტელეფონი 599 855 993 ; 595 903 322; 599 855 966; ყვარლის მუნიციპალიტეტი.

ლოტის №	ქონების დასახელება და მისამართი	სასოფლო მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობის ფართობი (კვ.მ.)	საკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
1.	ქ. ყვარელი, ი.ჭავჭავაძის ქ. №69-ში მდებარე ყოფ. სავაჭრო ცენტრი	2998	1) 3445; 2) 429; 3) 30;	57.06.56.133	350000	70000	17500	50
2.	ქ. ყვარელი, სააკაძის ქ.№2-ში მდებარე ყოფ. რედაქციის II-ე სართული	წილობრივად	468.4	57.06.59.080.01.501	17000	3400	850	50
3.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	775	-	57.06.68.652	930	186	47	50
4.	ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774		57.06.68.651	925	185	35	50
5.	ქ. ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	774		57.06.68.650	925	185	46	50
6.	ქ.ყვარელი (ბურსის მიმდებარე)	655		57.06.68.644	677	135	34	50
7.	ს. საბუე	2234		57.09.57.121	6 000	1200	300	50
8.	ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ. №160	წილობრივად	111.5	57.06.57.049.01.505	6035	1207	302	50
9.	ქ. ყვარელი სარიტუალო მომსახურების ბიურო	2034	47	57.06.57.005	5200	1040	260	50
10.	ქ. ყვარელი (ყოფ. სახანძრო)	1173	1) 616; 2) 83; 3) 18;	57.06.57.351	40500	8100	2025	50

„იგი სიკეთით გახლდათ საცნობი“... ზაურ აჭაიძის გახსენება

მძიმე და დასანანია, ისაუბრო წარსულში ისეთ ადამიანზე, როგორიც ბრძანდებოდა სოფელ ახალსოფლის მკვიდრი ზაური აჭაიძე. მას 16 აგვისტოს 81 წელი შეუსრულდებოდა, თუმცა არ დასცალდა და თავისი გარდაცვალებით ყველა ახლობელსა და ნაცნობს დასწყვიტა გული.

ზაურ აჭაიძე განათლებულ და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მრწამსით აღსავსე ოჯახში დაიბადა. მისი მამა ახალსოფლის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მღვდელი ზაქარია აჭაიძე იყო, ძმა – ყველასათვის საყვარელი მწერალი და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი ილო ბეროშვილი, დები: საბედა და მარიამ ბეროშვილები დამსახურებული მასწავლებლები იყვნენ. ასეთმა ოჯახურმა გარემომ სასიკეთო გავლენა იქონია ზაურის პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

პატიოსანი, წესიერი, ადამიანური თვისებებით გამორჩეული ზაურ აჭაიძე, იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც მუდამ მუხლჩაუხრელად, უპრეტენზიოდ, მაღალი ზნეობით ემსახურებოდნენ საყვარელ ხალხს და ქვეყანას.

„ის“ ცხოვრების მიზანს სიკეთის უანგაროდ გაცემა წარმოადგენდა. ამიტომ, ხშირად იხსენებდა ციტატას ილია ჭავჭავაძის ლექსიდან:

„ყოველ დღესა ჩემ თავს ვკითხო
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“

მართლაც, მისი ყოველი დღე სხვა ადამიანებზე ზრუნვით იწყებოდა და მთავრდებოდა. ზაურ აჭაიძეს ყველას ტკივილი თუ სიხარული გულთან მიჰქონდა, ყველასთვის ყველაფერი ემეტებოდა, სხვებიც გრძნობდნენ ამ დიდ სიყვარულს და თავადაც უყვარდათ. მას ტოლი არ ჰყავდა საქმის ერთგულებაში, პატიოსნებაში. წარმოშობით თუშს, ვაჟკაცური თვისებები განსაკუთრებულად ჰქონდა განვითარებული, თუმცა სიმამაცესა და ფიზიკურ ძლიერებას თან უბრალოება, მოკრძალება და რიდი ახლდა.

ზაური ბუნების მოტრფიალე და დამცველიც გახლდათ. ფეხით ჰქონდა შემოვლილი დაღესტნის მთები, ახალსოფლის ტყეები ხომ ზეპირად იცოდა. უყვარდა ხის ტოტებისაგან საჭირო, საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადება და ახლობლებლებისათვის ჩუქება. ბუნების სიყვარული მან თავის შვილიშვილებსაც ასწავლა. ასევე ასწავლა მათ პატიოსნება და შრომის სიყვარული.

ამავე დროს, ზაური შესანიშნავი მეუღლე და მამა იყო. მეუღლესთან, ნანი კახიძესთან ერთად ერთგულად ინაწილებდა ჭირსა და ლხინს, ცხოვრების სირთულესა თუ სიამეს. სამი კარგი შვილი: თამრიკო, კობა და მზექალა აჩუქა სამშობლოს და პირნათლად მოიხადა თავისი ვალი ქვეყნისა და ახლობლების წინაშე.

ხანგრძლივი და რთული ავადმყოფობის შემდეგ დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება და ზეციურ საქართველოს მიაშურა.

ზაურ აჭაიძე ყოველთვის უდიდესი სიყვარულით ემახსოვრებათ მის მრავალრიცხოვან ახლობლებს: მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, სიძეებს, რძლებს, დისშვილებსა და ძმისშვილებს, მეგობრებსა და მეზობლებს.

ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი სული უკუნითი, უკუნისამდე!

მამის, ოთარ (შუქრი) ფირანიშვილის ხსოვნას

შენს დაბადების დღეს უშენოდ უნდა შევხვდეთ...

68 წელი შეგისრულდებოდა...

უცაბედად დაგვტოვე მამა, მეხის დაცემას ჰგავდა შენი გარდაცვალება...

დაგვიტოვე დიდი და მოუშუშებელი ტკივილი, ხორციელად გაქრი, მაგრამ შენგან დატოვებულ ნაკვალევს არ წავშლით!

შენ აღარ ხარ...

ჩვენ კი უშენობას ვერ ვეგუებით, ჩვენო ბერ-მუხავ!

დედას თვალზე ცრემლი არ შეშრობია...

მოურჩენელი ჭრილობა და დაკოდილი გული დაუტოვე მას, შენი სიყვარულის ქვრივი გახდა, ჩვენ, შვილებს ჩაგვაბარე მისი თავი...

ახალი წლის დადგომა შეგვძულდა მამა, ცხოვრებამ ელფერი დაკარგა. როცა შენ იყავი, ცხოვრებას ხალისი ჰქონდა. სიტყვებს ვერ ვპოულობ, ძნელი ყოფილა დაწერო მამაზე...

ჩვენთვის მუდამ იყავი ცოცხალი, ენერგიული, ცხოვრების ხალისით აღსავსე და სალი კლდესავით ძლიერი...

ცხრა თვე შესრულდება რაც ჩვენს შორის აღარ ხარ, მამა... ცხრა თვე... მთელი საუკუნეა თითქმის. ბავშვობა მოგვანატრე სამივეს, მამა... დედა ცოცხალ-მკვდარი დატოვე...

ილიკო უცაბედად „გაიზარდა“. ნეტავ დაგანახა რა მშრომელი და მოსიყვარულე შვილია. დიდი პასუხისმგებლობა და ტვირთი დაუტოვე მას მამა, ყველაფერზე ის ზრუნავს... რა თქმა უნდა, ის ხომ მამაკაცია... მაგრამ დაგავიწყდა, რომ იგი საამისოდ „პატარაა“... ცხოვრების ვებერთელა ასპარეზზე, მამის გარეშე... ძნელია...

ია?! იას აღარაფერი ახარებს, იცი?!

... ენატრები...

უხმოდ, ფარულად და გულში იკლავს უშენობას, ყველაზე მეტად მას სჭირდები...

მე და ილიკო დაოჯახებულნი ვართ;

იას?! მას შენ სჭირდები; შენი მზრუნველობა, შენი არსებობა, მისთვის ჰაერივით საჭიროა...

დედაზე რა გითხრა, მამა?!...

მოსიყვარულე და ლამაზი წყვილი იყავით... დედა, შენი ქვრივი გახდა; შავებში შემოსილი, გულ-დაკოდილი...

მე?! რა გითხრა აბა?! ყოველ ღამეს ტირილით მოგიხმობ სიზმრად! არ მჯერა, ვერ ვეგუები უშენობას... ძალიან მენატრები...

ჩემს დენიზს ვეფერები, როცა მონატრებას ვეღარ ვუძლებ... დაჭრილი ვაშლივით გგავს, ხომ იცი... შენი მონატრება გვტკივა!... მამიდა ძმის გარეშე მარტო და ეულია, ენატრები... გვენატრები...

... საუკეთესო მეუღლე, მოსიყვარულე მამა და პაპა, შესანიშნავი სიმამრი და მამამთილი, თუმცა კი, ჩვენს საყვარელ ნატოს არ ცნობდი; დასავით გიყვარდეთო, ყოველ დღე გვახსენებდი მე და იას, ნამდვილად ძალიან გვიყვარს მამიკო შენი ლამაზი რძალი – ნატო...

ბავშვივით გულუბრყვილო, კეთილი და თავმდაბალი, კაცური კაცი – ოთარ ფირანიშვილი; – ასე გიცნობდა ყველა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, მამა! მსუბუქი ყოფილიყოს ყვარლის მინა შენთვის... და; დაბადების დღეს გილოცავთ!... ჩვენს გულებში მუდამ იცოცხლებ შენ!...

დიდი სიყვარულითა და
მონატერებით, შენი ოჯახი

დეკემბრის თვეში, როცა
წვიმა დაფარავს მინებს,
და შენს თვალთაგან რომ
წამოვა წყვილი ცრემლები,
გჯეროდეს, მაშინ მე შენს
გვერდით აღარ ვიქნები!...
ყური მიუგდე მონავარდე
იმ წვიმის ჰანგებს,
გიამბობს ჩემი სიყვარულის
სევდიან ზღაპრებს,
როცა დაბერავს ცელქი სიო,
მიუალერსე,
მე მისი სახით შენთან მოვალ
მოგეფერები,
შენს ყორან თმებში, თეთრი
ძაფი გაგაბი უკვე;
ლამაზ თვალებით სევდიანი
გასცქერი ქუჩებს!...
ვიგრძნობ, რომ გელი, მაგრამ
ჩემი ცხოვრების ერთავ,
მე აღარ მოვალ, ვეღარ მოვალ,
ნუთუ ვერ ხედავ?!
ნაზი ხმით სტვენას რომ დაიწყებს
კარგო ბულბული,
ჩემს სიყვარულზე აჟღერებულ
ჰანგებს გიმღერებს...
ვარდობის თვეში დანამული
ვარდის ფურცლები,
ჩემი ცრემლებით გაჟღენთილი
სიყვარულია...
ბაგე შეახე სანატრელო
ყვავილის ფურცლებს,
რადგან იქ ჩემი
დამარხული სიყვარულია!...

ოთარ სეფაშვილის ხსოვნას

ოთარ, გავიდა უკვე სამი წელი, რაც დატოვე შენი ოჯახი და ახლობლები.

22 აგვისტო შენი იუბილეს დღეა, გილოცავთ. ამ დღის აღნიშვნა ხომ ძალიან გიყვარდა კლასელ მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად. დრო ვერ გაანელებს შენი არყოფნით გამოწვეულ სევდას.

ჩვენო ოთარ, უკვე მესამე დაბადების დღეს აღვნიშნავთ უშენოდ. მოგიტანეთ ყვავილები, აგინთეთ სანთლები და ვილოცეთ შენი ლამაზი სულისთვის.

დაე, მუდამ ანათებდეს ცათა სასუფეველს ჩვენი დანთებული სანთლები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და ლამაზი სული.

ოჯახი და ახლობლები

დალი ტატულიშვილი, ბონდო, ია იმერლიშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან მძახლის ხვიჩა ხინჩლაშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს და ახლობლებს

მულჩა – მულჩირება – ის რაც ბუნებამ თვითონ გვასწავლა

მულჩირების შესახებ

ბუნებაზე დაკვირვება და ბუნებრივი კანონზომიერების გათვალისწინება ორგანული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. სწორედ ბუნებამ უკარნახა მეურნეს მულჩირების მეთოდი, რომლის დროსაც ნიადაგი მცენარის გარშემო იფარება სხვადასხვა მასალით. მართლაც, ტყეში ხეების, ბუჩქებისა და სხვა მცენარეების ქვეშ ნიადაგი ყოველთვის დაფარულია გამხმარი ფოთლებით, ხავსით, მკვდარი მცენარეული მასალით.

სწორედ ეს ბუნებრივი საფარი იცავს ნიადაგს მაღალი ტემპერატურისაგან, გამოშრობის, ჩარეცხვისა და ეროზიისაგან, აფერხებს სარეველა მცენარეების აღმოცენება–განვითარებას, იცავს მცენარეებს ყინვისაგან.

მულჩი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს მავნე მეტეოროლოგიური პირობებისაგან ნიადაგის დაცვას. ნიადაგის მულჩირება შესაძლებელია სხვადასხვა მასალითა და სხვადასხვა მიზნით.

მულჩირებისთვის გამოიყენება როგორც დაქუცმაცებული ტორფი, გადამწვარი ორგანული მასალა, მარცვლეული კულტურების ნამჯა, ჩამოცვენილი ფოთლები, ნახერხი, ბალახი, პოლიეთილენი, მუყაო, ქაღალდი და სხვა ორგანული და არაორგანული მასალები.

დამულჩვით მოსავლიანობის გადიდება დიდი ხანია ცნობილია, თუმცა იგი ფართოდ არ გამოიყენებოდა, რადგან კულტურის მიხედვით მულჩის ეფექტი ზუსტად დადგენილი არ არის. პირველად 1914 წელს ეკარტმა ჰავაის კუნძულებზე ანანასის და შაქრის ლერწმის პლანტაციებში ასფალტის საფარი გამოიყენა მულჩად.

მანამდე მე–19 საუკუნის დასაწყისში სარეველების წინააღმდეგ ნიადაგის ცემენტითა და ქვით დაფარვა სცადეს. საქართველოში ნიადაგის დამულჩვის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის აკად. მ. გოგოლიშვილს. მის მიერ დამტკიცებულ იქნა, რომ დამულჩვის ეფექტურობა დამოკიდებულია მულჩის სახეობაზე, გამოყენების ხერხებზე, დროზე, კლიმატურ პირობებზე და სხვა.

მულჩირებისათვის მასალის არჩევა

მულჩირებისათვის მასალის არჩევა დამოკიდებულია ნიადგის ტიპზე, კლიმატსა და მულჩირების მიზანზე (სარეველების დათრგუნვა, ტენის აორთქლების შემცირება, ნიადაგის გამდიდრება და სხვ.).

ნებისმიერი მასალით (როგორც ორგანულით, ისე არაორგანულით) მულჩირება თრგუნავს სარეველების ზრდას, იცავს ნიადაგს ტენის ჭარბი აორთქლებისაგან, არეგულირებს სითბურ რეჟიმს: ზაფხულში ნიადაგი ნაკლებად ხურდება, ხოლო მცენარის ფესვებთან ახლოს შექმნილი ტენიანი გარემო ხელს უწყობს მცენარის ზრდას; ზამთარში კი ნიადაგი უკეთ ინარჩუნებს სითბოს.

მაგრამ თუ სარეველების დათრგუნვის, სითბური რეჟიმის რეგულირებისა და ტენის აორთქლების თავიდან აცილების გარდა, ნიადაგის სტრუქტურასა და მცენარის უკეთ გამოკვებაზეც ვფიქრობთ, მაინც უმჯობესია, მულჩირებისათვის ორგანული მასალები გამოვიყენოთ.

ორგანული მასალის გარდა, მულჩირებისათვის შესაძლებელია სხვა მასალების გამოყენებაც (მაგ. პოლიეთილენის), მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ მასალის თვისებები.

მულჩირებისათვის შავი პოლიეთილენის გაუმჭვირვალე მასალის გამოყენებისას ნიადაგის სტრუქტურა არ უმჯობესდება და არც საკვები ნივთიერებებით მდიდრდება, მაგრამ ფერხდება სარეველების ზრდა და ტენის აორთქლება.

გასათვალისწინებელია, რომ პოლიეთილენის მასალა წვიმას იჭერს და ბოსტნეულ კულტურებში მოსაგვარებელია მცენარის მორწყვის საკითხი.

გაზაფხულზე შავი პოლიეთილენი თბება და ნიადაგსაც ათბობს, მაგრამ ზაფხულის სიცხეების დროს იქმნება პრობლემა. პოლიეთილენი შესაძლოა ძლიერ გახურდეს და მკვეთრად აწიოს ნიადაგის ტემპერატურა, რაც საშიშროებას უქმნის ნიადაგის ცოცხალ ორგანიზმებსაც.

ორგანული მასალით მულჩირება

ორგანული მასალით მულჩირება ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესების კარგი საშუალებაა. გარდა იმისა, რომ მულჩით დაფარული ნიადაგი დიდხანს ინარჩუნებს სითბოს, ტენსა და სიფხვიერეს, სწრაფად ხდება ნიადაგის ჰუმუსის ფენის აღდგენა.

მულჩის ქვეშ იქმნება ოპტიმალური პირობები მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობისათვის. ისინი გადაამუშავებენ ორგანულ მულჩს და ამდიდრებენ ნიადაგს. ამასთან, ორგანული მულჩი ხელს უწყობს ჭიაყელებისა და ნიადაგის სხვა ცხოველების გამრავლებას, რომლებიც აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურას.

ორგანული მულჩი ხელს უშლის ნიადაგის ქერქის წარმოქმნას, იცავს ნიადაგს ქარისა და მზის სხივების ზემოქმედებისაგან, ამასთან ნიადაგი უკეთ „სუნთქავს“, აძლიერებს ნიადაგში მიმდინარე სასარგებლო ბიოქიმიურ პროცესებს, რის შედეგადაც უკეთესდება მცენარის კვება და მცენარე ძლიერდება.

მულჩირებულ ნიადაგში ტემპერატურის მერყეობის ამპლიტუდა ნაკლებია, შენარჩუნებულია ოპტიმალური ტენიანობა და სითბური რეჟიმი, რაც აჩქარებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს და აუმჯობესებს მცენარის კვებას.

ორგანული მულჩი აფერხებს ზოგიერთი დაავადებისა და მავნებლის ზრდა-განვითარებას. მაგ., კოლორადოს ხოჭო „გაურბის“ თივისგან დამზადებულ მულჩს. ვაშინგტონის შტატის ბიოფერმებში ეკოლოგიურად სუფთა ყურძნის მოყვანა ძალზედ პოპულარულია.

თანამედროვე ორგანულ მეურნეობაში მულჩად გამოყენებულია უახლოესი ტექნოლოგიებით დამზადებული ფირები, რომელსაც აწარმოებს ისრაელის ფირმა „გინეგარი“.

ფირების გამოყენებით იზღუდება სარეველა მცენარეების ზრდა, ნაყოფი არ ეხება ნიადაგს, მცირდება სიდამპლის რისკი. ფირის ქვეშ ნარჩუნდება მდგრადი ტემპერატურა და ზომიერი ტენიანობა, 30%–ით მცირდება მორწყვის ხარჯები, 15%–ით მატულობს მცენარის ზრდის ტემპი, იზრდება ნაყოფიერება.

ორგანული მასალით მულჩირებისას გასათვალისწინებელია:

• რეკომენდებული არაა მულჩირება ადრე გაზაფხულზე, როცა მიწა ჯერ არ არის გამთბარი. ეს გამოიწვევს ლპობას, მით უმეტეს, წვიმიანი გაზაფხულის პირობებში. მულჩირება ხდება მიწის კარგად გათბობის შემდეგ;

• მულჩირების წინ ნიადაგი წინასწარ უნდა გასუფთავდეს სარეველების, ხმელი ტოტების, ფოთლებისაგან. თუ ზედაპირი მშრალია, ნიადაგი უნდა გაფხვიერდეს, მოირწყას, და შემდეგ დაიმულჩოს;

• მულჩირებისათვის განკუთვნილი მასალა არ უნდა შეიცავდეს სარეველების თესლს და წინასწარ კარგად უნდა დაქუცმაცდეს;

• თუ მულჩირებისათვის გამოყენებულია მწვანე მასა თხელ ფენად უნდა დალაგდეს, ხმელი მასალა (მაგ., თივა) შეიძლება უფრო სქელ ფენად დაეფინოს (მაგ., 2-10 სმ სისქეზე) ნიადაგის ზედაპირს;

• შემოდგომით მულჩი უნდა ჩაიხვნას ნიადაგში ან რჩება გაზაფხულამდე. თუ მულჩს ზამთარშიც დავტოვებთ, იგი ხელს შეუწყობს ჭიაყელებისა და ნიადაგის სასარგებლო მიკროფლორის გამრავლებას, რაც ნიადაგს ჰუმუსით გაამდიდრებს და სტრუქტურასაც გააუმჯობესებს.

ნ. ნაკაშიძე; ლ. ჯაში.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტი

ყველა ნამუშევარი ჩემი სულის ნაწილია

ამას წინათ ტელევიზიის ერთ-ერთი არხიდან შევიტყვეთ ყვარლელ ქალბატონზე მარინე ღონიაშვილზე, იმის თაობაზე, რომ არის საუკეთესო ხელოვანი ადამიანი, რომელიც ქსოვს და ქარგავს ძალიან ლამაზად. თითქმის ნახევარსაათიანი გადაცემა ეძღვნებოდა ამ ქალბატონს და სწორე გითხრათ, გამიხარდა, რომ ტელევიზია აცხადებს ამას, აშუქებს მის ნამუშევრებს და რომ დიდი ხელოვანი ადამიანი ცხოვრობს შენს რაიონში. სწორედ მას შემდეგ გადავწყვიტეთ რედქციაში მოგვეწვია ქალბატონი მარინე და თავად ესაუბრა თავისი ნახელავის შესახებ.

– ქალბატონო მარინე, როგორ შეიტყო ტელევიზიამ თქვენი ხელოვნების ამბავი, რომელმაც ვრცელი გადაცემა გააკეთა ამის შესახებ. როდიდან დაიწყეთ და რამდენი წელია რაც თქვენ ამ საქმეს ემსახურებით?

– ეს შემთხვევით მოხდა. პირველი არხის სატელევიზიო ჯგუფი ჩემთან, ჩემს ოჯახში იმყოფებოდნენ სტუმრად და ცხოვრობდნენ რამდენიმე დღე. ამზადებდნენ სატელევიზიო გადაცემას „ლიხს იქით და ლიხს აქეთ“ და საერთოდ ყვარლის რაიონზე გადაცემის გაკეთება სურდათ. მათ, რა თქმა უნდა, მეგზურობას ჩემი შვილი ზეზვა პატაშური უწევდათ. სწორედ ამ ხნის განმავლობაში მათ ჩემი ნამუშევრებიც ნახეს და ძალიან მოეწონათ. მაშინვე შემომთავაზეს, ამასთან დაკავშირებით გადაცემა გაეკეთებინათ. აი, ასე მოვხვდი სატელევიზიო გადაცემაში.

– თუ ყოფილა ოდესმე ჩვენს რაიონულ გაზეთში გაშუქებული თქვენი ნახელავის შესახებ და თუ გიცნობდნენ სხვა ხელოვნების მოყვარულები? თქვენი ხელოვნების პირველი ნამუშევარი, – როდის და რომელ ასაკში მოხდა ეს?

– ჯერ კიდევ ბავშვობაში ვქარგავდი, მაგრამ ამ ხელოვნებისადმი დიდი ინტერესი გამიჩნდა უკვე ასაკში შესულს. ჩემს ნამუშევარს რუსუდან კურტანიძის (სპეციალობით პედაგოგი გახლავართ) საოთოლში, ხახვის ფოჩში, დაფნის ქერქში, თუთის ფოთოლში და ა. შ.

– როგორც გადაცემიდან შევიტყვეთ, სურვილი გაქვთ მოქარგოთ ღვინობისთვე კახეთში. რამდენი დრო დაგჭირდებათ მის ბოლომდე მისაყვანად?

კი, ძალიან დიდი სურვილი მაქვს იუმორისტულ ჟანრში მოვქარგო მთვრალი ჭინკები, ღვინის ქართველი ღმერთი „ქიტესა“ და საერთოდ ღვინობისთვე კახეთში, – ვენახები, რომლებსაც ალბათ ერთ წელიწადს მაინც ვერ დავამთავრებ.

– რეალიზაციას თუ უკეთებთ თქვენს ნამუშევრებს და რამდენად წაადგება იგი თქვენი ოჯახის ფინანსებს ეკონომიურად?

– როგორც გითხარით, პირველად ვახდენდი ჩემი ნამუშევრების რეალიზაციას, რადგან აგვისტოს ომის დროს ძალიან გაჭირდა ცხოვრება, პედაგოგის ხელფასი არ ჰყოფნიდა ოჯახს და მიჭირდა შვილების შენახვა. მაშინ ისინი სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ბევრი, ძალიან ბევრი ნამუშევარი გავყიდე და ბევრზეც ძალიან გული დამწყდა. ახლა ვერც ერთ ნამუშევარს ვეღარ ვიმეტებ გასაყიდად.

– ოჯახის მდგომარეობაზე რას გვეტყოდით? რამდენი შვილის დედა ბრძანდებით და თუ არიან ისინი დაინტერესებული ხელოვნებით?

– მყავს მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და ორი შვილიშვილი. მათ ძალიან მოსწონთ ჩემი გატაცება. თვითეულს თავიანთ ოჯახებში აქვთ ჩემი ნამუშევრები, ჩემით ამაყობენ და სიამაყით აჩვენებენ ჩემს ნაქარგებს თავიანთ მეგობრებს და სტუმრებს. გოგონები რომ მყოლოდა, აუცილებლად გააგრძელებდნენ ჩემს საქმიანობას.

– თუ არ ვცდები, ახალსოფლის საჯარო სკოლის პედაგოგი ბრძანდებით. როგორ უთავსებთ პედაგოგის და ხელოვანის საქმეს ერთმანეთს, რამეთუ პედაგოგობა რთული და საპასუხისმგებლო საქმეა და მეტ დროს მოითხოვს ბავშვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. თქვენი კომენტარი.

– დიახ, ვარ ახალსოფლის საჯარო სკოლის პედაგოგი. მართალია, დღევანდელი პედაგოგის პროფესია ბევრ რთულ საქმესთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჩემთვის ეს სირთულეს არ წარმოადგენს, – თავისუფლად ვუხამებ ერთმანეთს პედაგოგის და ხელოვნების საქმიანობას. პირიქით, ეს ჩემთვის ყოველთვის სახალისო და საყვარელი საქმეა.

– თუ იყო სადმე მოწყობილი თქვენი ნამუშევრების გამოფენა და როგორი მოწონება დაიმსახურა?

– ცალკე ოფიციალური გამოფენა არსად არ მქონია. უფრო სხვა სახალხო (სოფლიდან ჩამოსულ ხელოვანებს ვგულისხმობ) ხელოვნების მოყვარულთა გვერდით ვყოფილვარ. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ჩვენს დამთვალიერებლებს ყოველთვის მოსწონთ ჩემი ნამუშევრები.

– თუ გაქვთ სურვილი თქვენი ეს ცოდნა გადასცეთ და შეასწავლოთ მომავალ თაობებს?

– ძალიან გამიხარდება და დიდი სურვილიც მაქვს თუ მომეცემა საშუალება, რომ ბავშვებს შევასწავლო ქარგვა, ქსოვა. კარგი იქნებოდა (როგორც ადრე იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გახსნილი სხვადასხვა სახის წრეები ბავშვებისთვის) ახლა სკოლაში მაინც გახსნილიყო ასეთი სახის წრეები, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებდა, ეს აუცილებელიცაა ჩვენი მომავალი თაობების გათვითცნობიერებისათვის, მათი განვითარებისათვის, სიამოვნებით ვიმუშავებდი მათთან.

– თქვენს სამომავლო გეგმებში კიდევ რა გაქვთ ჩაფიქრებული?

– ბევრი რამ, ამას მომავალი გვიჩვენებს.

გმადლობთ.

ესაუბრა დალი ტატულიშვილი

ტრადიციულად აღნიშნეს ნადირობის სეზონის გახსნა

საქართველოში ნადირობის ტრადიცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს, რაზეც განათხარ ძეგლებში ნაპოვნი ძვლოვანი მასალა მოწმობს. როგორც თრიალეთის პეტროგლიფებსა და ბრინჯაოს განათხარ ნივთებზე გამოსახული ნადირისა და ნადირობის სცენების მიხედვით ირკვევა, ნადირობას იმ დროინდელ საქართველოში კოლექტიური ხასიათი და სამეურნეო მნიშვნელობა გააჩნდა. სანადირო ფაუნისა და ნადირობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართულ წერილობით წყაროებში, განსაკუთრებით ვახუშტის თხზულებებში.

ფეოდალურ საქართველოში ნადირობა იყო ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ხალხური საშუალება და ლაშქრის წვრთნის, სამხედრო მზადყოფნისა და მასობრივი შემოწმების ფორმაც. იმდროინდელი გლეხობისათვის ლაშქარ-ნადირობა ფეოდალური ბეგარის ერთ-ერთი სავალდებულო სახეობა იყო. სამეფო კარზე არსებობდა სამონადირეო უწყება, რომელსაც მონადირეთუხუცესი, შემდეგ კი ბაზიერთუხუცესი ხელმძღვანელობდა. მას ემორჩილებოდა „ჯელგის კაცი“, „მრეკალი“, „მესახუნდრე“, ბაზიერი, მეჯინიბეები, ტყეთა და ველთა სამეფო სანადროთა მცველები და სხვა. განსაკუთრებული ზეიმით სრულდებოდა სამეფო ნადირობა, რომელიც ქართული საახალწლო რიტუალის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო სამეფო კარზე.

ძველ საქართველოში სანადირო იარაღად, ძირითადად გამოიყენებოდა მშვილდ–ისარი, რომელიც ქართული ხალხური წესებით მზადდებოდა. გავრცელებული იყო ქორით, მწევრებით, მეძებრებით ნადირობა. მე–17 საუკუნის 70–იან წლებში, ფრანგი მოგზაური ჟან–შარდენი საქართველოს ეწვია. როგორც ჩანს მან შეისწავლა სამეგრელოში ნადირობის წესები: „ძირითადად ნადირობენ მტაცებელი ფრინველებით, რომელთაც იშინაურებენ და შემდეგ სანადიროდ იყენებენ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობ სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი რაოდენობით შეიძლება იყოს მტაცებელი ფრინველი“– წერს იგი. მისივე ცნობით, დიდი რაოდენობით იჭერენ ამ ფრინველთა ახალგამოჩეკილ ბარტყებს და ხუთ–ექვს დღეში იშინაურებენ.

მტაცებელი ფრინველით ნადირობა გავრცელებული ყოფილა გურიაში. მიმინოებს აქ ფერისა და მჭირავნობის მიხედვით არჩევდნენ. ყველაზე ლამაზ მიმინოდ თეთრი შეფერილობის მიმინო ითველებოდა, ყველაზე სხრატ და მტაცებლად კი – ჩხარტისფერი. ყურადღებას იქცევს დასახელებებიც– დედალ მიმინოს– ნარდი, ხოლო მამალს –გეზელა ეწოდებოდა. ნადირობისთვის ყველაზე დიდი უპირატესობა დედალ ფრინველს ენიჭებოდა.

ქართული წყაროების მიხედვით, ჩანს, რომ სანადიროდ გაწვრთნილი ფრინველი და ცხოველი ძვირად ფასობდა, იგი წარმოადგენდა საპატიო საჩუქრის ერთგვარ სახეობას.

ნადირობის ხალხური ტრადიციები საქართველოში, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ყველაზე უკეთ შემონახული იყო მთიანეთში. ჯგუფური ნადირობის ფორმებიდან აქ გავრცელებული ყოფილა მორეკვით ნადირობა (უმთავრესად ტყის ნადირზე), მოჭირვით ნადირობა (ნადირის სავალი ბილიკების გადაჭრა და სახუნდარში ჩასაფრება უპირატესად კლდის ნადირზე), ნადირის კვალში ჩადგომა (ბუჩქნარისა და ველის ნადირზე). არსებობდა ნადირის შესაკრები სპეციალური ადგილები, სადაც თავს მოუყრიდნენ სანადირო ცხოველის ჯგუფს.

აქტიურ ნადირობასთან ერთად ძველ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მახე-ხაფანგებით და ბაზით ნადირობა. ნადირობის როლი თავისებურადაა ასახული ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში. ნადირთღვთაებებად ითვლებოდნენ ნადირთანგელოზი დალი, ნადირთ-მწყემსი ოჩოპინტრე და ა. შ. ზოგი ჩვეულება ბუნების დაცვას ემსახურებოდა მაგ., რაჭაში. მონადირეს ეკრძალებოდა ერთ გასვლაზე სამზე მეტი მსხვილი ნადირის მოკვლა. სანადირო ადგილებიც და სეზონიც განსაზღვრული იყო ტრადიციით. წესის დამრღვევ მონადირეს სოფელი სასტიკად სჯიდა, საჯაროდ კიცხავდა და აჯარიმებდა. როცა მონადირე 1000 ნადირს მოკლავდა, თოფს მიწაში ჩამარხავდა და ნადირობას თავს ანებებდა.

მონადირეობა საქართველოში გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით, ეყრდნობოდა ხანგრძლივ ტრადიციებს. ასეთივე მრავალფეროვნებით გამოირჩევა ძველი ქართული სანადირო ტერმინოლოგიაც.

შორეული საუკუნეების მიღმა, როცა პირველყოფილმა ადამიანებმა ჯერ არ იცოდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა – მოყვანა, შიმშილობისგან თავის დასაღწევად ნადირობას მისდევდნენ. მაშინ მხოლოდ ქვისგან დამზადებული იარაღებით ხდებოდა ცხოველებზე ნადირობა. კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ უმჯობესდებოდა სანადირო იარაღების სახეობები.

დღეს კი, მონადირეებს მრავალგვარი შესაძლებლობა აქვთ, რომ ჰქონდეთ სათანადო სამონადირეო აღჭურვილობა. რაც მთავარია, ნადირობა გახდა არა საკვების საშოვნელი, არამედ სპორტის უნიკალური სახეობა, რომლის დროსაც ადამიანს უამრავი დაბრკოლების გადალახვა უხდება, სხეულს იკაჟებს, ფიზიკურად და სულიერად მტკიცე ხდება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბრაკონიერთა დაუსჯელმა პარპაშმა, რომელიც ადრეულ წლებში ხდებოდა, ნადირ-ფრინველთა ზოგიერთი სახეობა ისე გაანადგურა, რომ წითელ წიგნშია შეტანილი და არსებული კანონმდებლობის სიმკაცრის გამო ვერავინ გაბედავს მათზე იარაღის აღმართვას. მითუმეტეს, რომ ეს კანონი ჯარიმებთან ერთად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს.

ამიტომ მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის და დოკუმენტების თანხლებით შეიძლება ნადირობა ნებადართულ ფრინველებზე და ცხოველებზე, ნადირობის სეზონის გახსნის შემდეგ, როცა ნადირ-ფრინველთა გამრავლების ციკლი დამთავრებულია.

თუმცა, გარეულ ცხოველებზე ნადირობა უწინდელ მასშტაბებთან შედარებით მკვეთრად არის შემცირებული და მონადირეები ფრინველების მონადირებაზე იკლავენ ჟინს.

ნადირობის სეზონის დაწყებას ყოველ წელს ტრადიციულად აღნიშნავენ ყვარლელი მონადირეები. 20 აგვისტოს დურუჯის ხეობაში შეთეს, ნინკას და აბაშას სახელობის მაგიდასთან მონადირეთა თავყრილობა გაიმართა და წესისამებრ ტრადიციული ქართული სუფრით დაგვირგვინდა.

მონადირეებმა – ნოდარ მეტრეველმა, ალიკა თოდაძემ, რამინ მათიკაშვილმა,დავით ჟუანაშვილმა,, ვალოდია სეფაშვილმა, ალუდა რუსიაშვილმა, ნოდარ ნერსესაშვილმა, მერუჟა ხაჩატურიანმა გაიხსენეს ნადირობის სხვადასხვა ეპიზოდები, მოყვნენ კურიოზებს და ნადირობის ქალღმერთთან ერთად ნადირ-ფრინველი დალოცეს. წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ყვარლის გამოჩენილ პიროვნებებს, ცნობილ მონადირეებს – რაფიელ და ვახტანგ შავგულიძეების, ცაცო ხუხიაშვილის, სანდრო ჩიხიაშვილის, ბუთხუზა სეფაშვილის, ვაჟა ფიდანიჩის და სხვათა ხსოვნას.

მონადირეთა შეხვედრა დაამშვენა ჩონგურზე შესრულებულმა სიმღერებმა, რომლის შემომქმედი გახლდათ გია მამანიშვილი. მონადირეთა თავყრილობას ესწრებოდნენ ოთარ ჩიხიაშვილი, ზაზა ჩიტაშვილი, გია ზარდიაშვილი, შილდიდან აბიკო კიკოლაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები.

საპატიო მიზეზის გამო შეხვედრაზე ვერ მოვიდნენ ალექსი და გია შავგულიძეები.

ახალგაზრდა მონადირეს ვახტანგ შავგულიძეს ამ დღეს 30 წელი შეუსრულდა, მონადირეებმა ერთსულოვნად ადღეგრძელეს და ბედნიერი მომავალი უსურვეს.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მონადირეთუხუცესის ბეჟან ბეჟანიშვილის ენთუზიაზმი და შემართება, რომელსაც იგი ამ ლამაზი შეხვედრების მაღალ დონეზე აღნიშვნისთვის იჩენს. ბატონი ბეჟანი თავისი თავმდაბალობით, მოყვასის სიყვარულით გამორჩეული პიროვნებაა და უამრავი სიკეთე აქვს ნაკეთები ყვარლის და ყვარლის რაიონის მოსახლეობისთვის. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და ჯალაბობა გაუმრავლოს ამ შესანიშნავ კოლორიტ კაცს, იგი ამას უდავოდ იმსახურებს.

ალექსანდრე გიგილოშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86